

წელიწადი  
პირველი

# მოამბე

შაბათი ნომ. 5.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 19

ეოგელ კვირული ორგანო.

№ 19

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ეგანგულოვის ქ. № 1.  
(ყოფ — კადეტთა კოლეჯის შენობა) ტელეფონი № 6-90.

რედაქცია ღია: ყოველ დღე დილის 9 ს. — 2 საათამდე.

რედაქტორის ნახვად შეიძლება 12 ს. — 2 საათამდე.

## ოფიციალური განყოფილება

### დეკრეტი № 76

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს  
დაარსების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი სცნობს რა აუცილებლად, — ზედრე სახალხო მოსამართლეთა საბჭო მოეწყობოდეს იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო სასამართლოს დებულებით, — დაარსებულ იქნეს საკასაციო ინსტანცია სასამართლოს დაუსრულებელ საქმეთა დასამთავრებლად, — ადგენს:

1. დაარსდეს სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და ოთხი მუდმივი წევრისაგან.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და წევრებს პნიშნავს საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წარდგენით, როგორც რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეთა რიცხვიდან, ისე იმ პირთაგან, რომელნიც აკმაყოფილებენ სახალხო მოსამართლეთა არჩევისათვის საჭირო მოთხოვნებს.

3. გარდა იმ წესისა, რომელიც — გამონაკლისის სახით — წინა მუხლშია აღნიშნული, სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს მოწყობისა და

მისი მოქმედების დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების მე-11 განყოფილება.

4. სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე და წევრები შეიძლება ხელახლად არჩეულ იქნენ სახალხო მოსამართლეთა საბჭოში სახალხო მოსამართლეთა ყრილობისაგან და დამტკიცებულ — საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტის მიერ.

5. სახალხო მოსამართლეთა მუდმივ საბჭოს შედგენილობის არჩევის შემდეგ სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭო უქმდება იუსტიციის სახალხო კომისრის ბრძანებით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის  
მოადგილე ს. ქავთარაძე.

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილე ბროდსკი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 28.

ქ. ტფილისი, — სისახლე.

## დაკრები № 77

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა

ქალ. ბათუმში საზღვაო სკოლის დაარსების შესახებ.

1. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარის განკარგულებით დაარსებულ იქნეს ქალ. ბათუმში საზღვაო სკოლა.

2. სკოლის შტატისა, დებულებისა და პროგრამის შექმნა დაევალოს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატს.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომ. თავმჯ. მოადგ. ხ. ქავთარაძე.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 28.

ტფილისი.—სასახლე.

## დადგენილება № 84.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

შეპყრობილ პირთა დასამწყვდევად აღვჩილებში მიღების წესის შესახებ.

შეპყრობილ პირთა დასამწყვდევად მიღების წესის დასამყარებლად და იმ შემთხვევათა მოსახსოვრებლად, რომ დატუსაღება არა ხდებოდეს თვინიერ საკმაო საბუთისა და საბაბისა, შემოღებულ იქნეს დატუსაღების შემდეგი წესი:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოველი დაწესებულება ან ხელისუფალი, შეპყრობილ პირთა დასამწყვდევად აღვჩილას წარდგენასთან ერთად, ვალდებულია გაუზიაროს მას ასლი დადგენილებისა მათ დაპატიმრების თაობაზე. უამწესრიგოდ ვისივე მიღება სატუსაღოში დასამწყვდევად აკრძალულია.

2. დადგენილებაში დაპატიმრების შესახებ სისწორით უნდა იყოს აღნიშნული:

ა) ვის და როდის დაუდგენია იგი.

ბ) დასაპატიმრებლის სახელი, მამის სახელი და გვარი.

გ) დანაშაული, რომლის ბრალი ან გუშინ ედება შეპყრობილს.

დ) დატუსაღების საფუძველი.

დადგენილება ხელმოწერილი უნდა იქნეს დაწესებულების სათავეში მდგომი პირის მიერ ან იმ პირის მიერ, ვინც საამისოდ რწმუნებული იქნება.

მ. ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების გარეშე სატუსაღოში მოყ-

ვანილი შეპყრობილი პირის მიღებისათვის სატუსაღოში უფროსი სასტიკი პასუხს აწეებს, და შეიძლება სამართალშია მიცემულ იქნეს.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ქავთარაძე.

რევკომის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 25.

თფილისი.—სასახლე.

## დადგენილება № 85.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

საპატიმროთა კულტურულ განმანათლებელი მუშაობის განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

1. საპატიმროებში სწავლა-განათლების წარმოების საქმის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის განათლების სახალხო კომისარიატს.

2. საპატიმროთა სკოლების პროგრამას შეიმუშავებს სახალხო განათლების სკოლის გარეშე აღვჩილობრივი ქვე-განყოფილება კოლეგიასთან ერთად, ხოლო სადაც კოლეგია არ არის, საპატიმროს გამგესთან ერთად.

3. საპატიმროებში წიგნთ საცავების, წარმოდგენების, ლექციების, მიტინგების და სხვ. მისთანა საქმის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის სახალხო განათლების სკოლის გარეშე ქვე-განყოფილებას.

4. საპატიმროთა სკოლების მასწავლებლები დაინიშნებიან იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამსჯელ-გამასწორებელ განყოფილების მიერ იმ პირთაგან, რომელთაც სახალხო განათლების სკოლის გარეშე ქვე-განყოფილება რეკომენდაციას გაუკეთებს.

5. საპატიმროთა მასწავლებლების დათხოვნა მოხდება იუსტიციის, სახალხო კომისარიატის დამსჯელ-გამასწორებელ განყოფილების მიერ, როგორც თავისი ინიციატივით, ისე საპატიმროთა კოლეგიის წარდგენით.

6. საპატიმროებში პედაგოგიური მოღვაწეობა შეთანხმებულ უნდა იქნეს პენიტენციარულ რეჟიმის სხვა და სხვა მხარესთან საპატიმროთა დებულებისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის დამსჯელ-გამასწორებელ განყოფილების ცირკულიარების მიხედვით.

7. სკოლების, წიგნთ-საცავების და სხვა კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის საჭირო



თანხებს გაიღებს განათლების სახალხო კომისარიატი.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 25.  
თფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 86.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტისა

საპატიმრობებთან არსებულ ყველა სამკურნალო დაწესებულებათა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

1. საპატიმრობების მთელი სამკურნალო-სასანიტარო ნაწილი გადადის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, სადაც სამკურნალო განყოფილე ასთან არსდება საპატიმრობათა სამკურნალო-სასანიტარო ქვე-განყოფილება.

2. ქვეგანყოფილების გამგე ექიმს დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის გამგის მიერ წარდგენით, იუსტიციის სახალხო კომისართან შეთანხმებით.

3. საპატიმრობათა სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის კრედიტები, როგორც შტატისა, აგრეთვე სამეურნეო ნაწილისათვის უნდა იქნეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

4. აღნიშნულ დაწესებულებათა გადაცემის წესი, მათი შინაგანი განრიგება განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იუსტიციის სახალხო კომსართან შეთანხმებით.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 25.  
თფილისი.—სასახლე.

## დადგენილება № 87

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა შრომის სამაზრო და სარაიონო განყოფილებათა დარსების შესახებ.

მაზრისა, რაიონისა და თემის რევოლიუციონური კომიტეტების დროებით დებულების შესახებ ამა წლის აპრილის 15 ს თარიღით და 23 №-რით, გამოქვეყნებული დეკრეტის მე 7 პარაგრაფის დასადასტურებლად და დასამატებლად, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. რათა შრომის სახალხო კომისარიატს საშუალება ჰქონდეს სათანადო გეგმის და მიხედვით განახორციელოს მუშა ხელის აღრიცხვა, განაწილება, გადანაწილება, მობილიზაცია და ნებაყოფლობითი მიზიდვა,—ყოველ სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტთან არსდება შრომის სამაზრო განყოფილება, ხოლო სარაიონო რევოლიუციონურ კომიტეტთან,—საქაროების დაკვალად.—შრომის სარაიონო განყოფილება; სამაზრო განყოფილება ექვემდებარება უშუალოდ შრომის სახალხო კომისარიატს, სარაიონო განყოფილება—კი შრომის სათანადო სამაზრო განყოფილებას.

შენიშვნა: 1. შრომის სარაიონო განყოფილება შეიძლება მოეწყოს მაღლოდ შრომის სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული განკარგულებით ყოველი შემთხვევისათვის ცალკე.

შენიშვნა: 2. დროებით ვიდრე საბოლოოდ მოეწყობოდეს მაზრებში შრომის განყოფილებანი, მოვალეობა მათი გამგებლობისა და ორგანიზაციისა დაეკისროს შრომის ადგილობრივ ინსპექტორს.

2. დავეალოს შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს სათანადო დებულებანი და ინსტრუქციები შრომის სამაზრო და სარაიონო განყოფილებათა უფლებისა და მოქმედების შესახებ.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რეს. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისარი ლ. ღუმბაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 25.  
თბილისი—სასახლე.

## დადგენილება № 88

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა  
სტენოგრაფისტთა აღრიცხვის შესახებ.

საქართველოში მცხოვრებ სტენოგრაფისტების მიზანშეწონილად გამოყენებისა და ჯეროვანი განაწილებისათვის იმ დაწესებულებათა შორის, რომელთათვისაც იგინი საჭირონი იქნებიან, — საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი აღგენს.

1. მოხდეს დაუყოვნებლივ აღრიცხვა საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა სტენოგრაფისტისა.

2. აღრიცხვა და აღრიცხვისათვის წესის შემუშავება დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს.

3. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება მიეცეთ ამა თუ იმ სათანადო დაწესებულებათა მოთხოვნებისა დაკვალოდ, — წარავლინოს სტენოგრაფისტები ამ დაწესებულებაში სავალდებულო სამსახურისათვის.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარის

მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 28.

ქ. ტფილისი. — სასახლე.

## დადგენილება № 89

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა  
საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის  
შესახებ.

1. ყველა ბიბლიოთეკა, როგორც განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი, ისე სხვა უწყებისა, დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, — გარდა აკადემიურისა, — გამოცხადებულ იქნენ საყოველთაო გამოსაყენებლად და ერთ საბიბლიოთეკო ქსელად შეერთებული მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში, — გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობის (პოლიტიკური განათლების მთავარ სამართველოს).

2. ყოველი ბიბლიოთეკა, რომელიც შეეცა ერთ საბიბლიოთეკო ქსელში (გარდა სპეციალურისა) აიღებს საჭირო მასალებს ადგილობრივი კოლექტორების საშუალებით, რომელი კოლექტორებიც მოწყობილია ბეჭდვითი ცენტრის განყოფილებასთან და მოქმედებს პოლიტიკური განათლების საბიბლიოთეკო სექციების ხელმძღვანელობით.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის

მოადგილე ს. ქავთარაძე.

განათ. სახ. კომ. მოადგ. დ. კანდელაკი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 28.

ტფილისი. — სასახლე.

## ზრქანება № 87

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის ამა 1921 წ. ოქტომბრის 17-ს დადგენილებით, სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ხელქვეით ყველა სამეურნეო ორგანოების საქმეთა გამოსაძიებლად და რევიზიის მოსახდენად დაარსდეს საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — აშხ. მ. ოკუჯავა, მდივანი — აშხ. ლარიონოვი და წევრები: მალაქია ტოროშელიძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, ტ. ლორთქიფანიძე, გრიგოლ პარკაძე და ბიბინეიშვილი ბარ.

2 აღნიშნული საგანგებო კომისია დაუყოვნებლივ შეუდგეს სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის სამეურნეო ორგანოების საქმეთა გამორკვევას და რევიზიას.

3 საგანგებო კომისიის უფლება ეძლევა დაინიშნოს სპეციალური ქვე-კომისიები; განსაკუთრებული რწმუნებულები და მისიონის მათ დავალების ფარგლებში განსაზღვრული უფლება.

4. წინადადება ეძლევა საბჭოთა ყველა დაწესებულებათ გაუწიონ საგანგებო კომისიას ყოველგვარი დახმარება საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ დაკისრებული საქმის აღსრულების დროს.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარის

მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 20.

ქ. ტფილისი. — სასახლე.

## შინაგან საქ. სახ. კომისარ.

## ინსტრუქცია

ყველა მაზრის რევკომს

საბჭოთა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან არა ერთხელ მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ თითქმის ყველა მაზრების რაიონებსა და თემებში ძლიერ კოჭლობს პირველი შეხედვით ისეთი უბრალო და მარტივი საქმე, როგორიც არის თემების კანცელარიებში საქმის წარმოების ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება. ეს გარემოება ფრიად საგრძნობ უხერხულობას იწვევს იმ მხრივ რომ ხშირად ადგილობრივ, თავის დროზე და ხანდახან სრულიადაც არ ქვეყნდება და ზორციელდება საბჭოთა საქართველოს მთავრობის ესა თუ ის დეკრეტი, განკარგულება, ბრძანება, და სხვ. გარდა ამისა ადგილი აქვს მცხოვრებთა კანონიერ წერილობით მოვანებისადმი უყურადღებობას, დროზე ან სულ

არ შეესრულებლობას, რაც მათ სამართლიან გულისწყრომას და უკმაყოფილებას იწვევს. ორთავე აღნიშნული მიზეზი-კი შესამჩნევ კვალს ატოვებს საბჭოთა ძალა უფლების განმტკიცების საქმეს, რისთვისაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს საჭიროდ მიაჩნია შეიმუშაოს ეთგვარი სისტემა რესპუბლიკის ყველა თემის და რაიონის რევკომების საქმის წარმოებისათვის.

ზემოაღნიშნულის გამო წინადადება ეძლევა ყველა მაზრის რევკომს სასწრაფოდ დაუგზავნოს სახელმძღვანელოდ ყველა რაიონის და თემის რევკომს ქვემო მოყვანილი ინსტრუქცია რაიონის და თემთა რევკომების საქმის წარმოებისა, რომლის სწორი და გადაუხვეველი დაცვა ევალება რაიონების და თემთა რევკომების მთელ შემადგენლობას:

## ინსტრუქცია

რაიონების და თემთა რევკომების საქმის წარმოებისა.

### თავი I.

შემოსულ და გასულ ქაღალდების მიღების, შესრულების და გაგზავნის.

#### წესი

1) სათემო რევკომში მიღებული ყოველგვარი ქაღალდი (მოწერილობა, წარწერა, დებეზა, დეკრეტი, ბრძანება, განცხადება ან სხვ.) პირველად ყოვლისა გასარჩევად გადაეცემა რევკომის მდივანს, რომელიც ქაღალდზე აღნიშნავს მიღების დროს (თვე და რიცხვი) და გადასცემს შემოსულ ქაღალდების წიგნში ჩასაწერად.

2) მდივნისაგან გახსნილი ქაღალდების ფორმა № 1-ის მიხედვით ა) ჩაიწერება შემოსულ ქაღალდების წიგნში, სადაც აღინიშნება ქაღალდების მიღების დრო (თვე და რიცხვი), ბ) ნომრები თემის რევკომის წიგნის მიხედვით (შემოსული № რიგზე) გ) ნომერი და რიცხვი ქაღალდისა იმ დაწესებულებიდან, საიდანაც იგი მიღებულია დ) და ქაღალდის მოკლე შინაარსი.

3) შემოსულ ქაღალდთა წიგნში გატარებული ქაღალდი ისევ რევკომის მდივანს დაუბრუნდება სრულად, რომელიც მისი შინაარსის მიხედვით გადასცემს მას რევკომის თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს ხოლო თუ უბრალო შინაარსის იქნება თვით შესრულებს ან მოახდენს განკარგულებას მის შესასრულებლად.

4) რევკომის თავმჯდომარე თუ საჭიროდ დაინახავს შემოსულ ქაღალდზე წაწერს რეზოლიუციას, რომლის მიხედვითაც მისი შესრულება მიენდობა რევკომის რომელიმე წევრს ან მოხელეს, ხოლო თუ საჭირო იქნება მისი წინასწარი განხილვა იგი მდივნის საშუალებით მოხსენდება რევკომის სხდომას (იხ. თავ. მე-II)

5) რევკომის წევრი ან მოხელე, რომელსაც გადაეცემა ქაღალდი რეზოლიუციით დაწესებული მიიღოს ყოველგვარი ზომები მის განდევნის შესასრულებლად (საჭირო ცნობების მოგროვება, დეკრეტების ან ბრძანებების გამოცხადება და ცხოვრებაში გატარება და სხვ.)

6) რეზოლიუციის თანახმად შეესრულებული ქაღალდები ხელის მოსაწერად ან განკარგულებისათვის შესრულებული პირის მიერ მოხსენდება თავმჯდომარეს. თავმჯდომარის ან მისი მოადგილის ხელის მოწერა აუცილებელია რევკომიდან გასულ ყოველ ქაღალდზე.

7) ხელმოწერილი ქაღალდი გადაეცემა მდივანს, რომელიც განკარგულებას ახდენს მის გაგზავნის შესახებ, წინასწარ გასულ ქაღალდების წიგნში გატარებით (ფორმა № 2)

8) შესრულებულ ქაღალდზე და გასულ ქაღალდების წიგნში აღინიშნება ა) თვე და რიცხვი გაგზავნისა ბ) რა თარიღის და ნომრის შემოსული ქაღალდის პასუხია გ) მისამართი თუ ვის ეგზავნება. გარდა ამისა შესრულებულ ქაღალდს დაესმის საბლანკო შტემპელი სადაც აღნიშნული უნდა იქნეს მისამართი რევკომისა, ხოლო წიგნში ჩაიწერება მოკლე შინაარსი ქაღალდისა.

9) მიმოწერაზე საბჭოთა (სახაზინო ბეჭედი და) ისმის.

10) ისეთ ქაღალდებს, რომელნიც წარწერით უბრუნდება გამომგზავნ დაწესებულებას, საბლანკო შტემპელი არ დაესმის, არამედ წარწერის შემდეგ აღინიშნება თვე და რიცხვი შესრულებისა, აგრეთვე გასული ნომერი.

11) გასულ ქაღალდების წიგნში გატარებული ქაღალდები პაკეტებში დაიბეჭდება, ჩაიწერება გასატარებული წიგნში მათი №, სადაც პაკეტების მიმღები პირი აწერს ხელს.

12) გასულ ქაღალდების შინაარსი უნდა დარჩეს რევკომის კანცელარიაში მისი შავის სახით, რომლის მიხედვითაც შემოსულ ქაღალდების წიგნში აღინიშნება თუ როდის შესრულებდა ქაღალდი და ან ვის გაუგზავნა პასუხი.

13) იმ შემთხვევაში თუ მიწერა მოწერა ხელმეორედ დაბრუნდა რევკომში, იმ გრაფაში სადაც მოთავსებულია ცნობები მიმოწერის გაგზავნის მსვლელობის შესახებ იწერება, როდის რა №-ით ვისგან დაბრუნდა მიმოწერა და რა შინაარსით.

14) შესრულებული შემოსული და შავი გასული ქაღალდებისა შინაარსის მიხედვით უნდა დანაწილდეს ცალკე საქმეებად (მაგალითად საქმე დეკრეტებისა ბრძანებისა, სამაზრო რევკომთან მიწერისა სხვა სათემო რევკომთან და სხვ.)

15) ყველა საქმეები უნდა რიგზე დაინომროს და შესდგეს მათი სიიდან აღწერილობის წიგნი ნომრების და საქმის სახელწოდების აღნიშვნით (ფორმა № 3)

16) შემოსულ და გასულ ქაღალდების წიგნში მიმოწერის შესრულების შემდეგ აღინიშნება, რომ მიმოწერა დამთავრებულია და აგრეთვე თუ რომელ № საქმეებშია იგი შენახული.

17) საქმეებში (სათანადო ყდაში) ქაღალდები ქრონოლოგიურად იყრება, რომელზედაც აღინიშნება საქმეების აღწერილობითი №, საქმის შინაარსი, როდის დაიწყო და თუ გათავდა საქმე, როდის (ფორმა № 4).

18) ზემოხსენებულ 17 მუხლში აღნიშნულ წესითვე უნდა შესრულდეს ადგილობრივ მცხოვრებთა და კერძო პირთაგან მიღებული ყოველი წერილობითი თხოვნაც.

19) შესასრულებლად გადასაცემი ქაღალდები შემსრულებელ პირთა ხელის მოწერის შემდეგ გადაეცემათ (თავ. I მუხ. 4)

20) ყოველივე პასუხისმგებლობა ქაღალდის დაკარგვისა, დავიანებით ან სრულიად შეუსრულებლობისათვის იმ პირს დაეკისრება, ვაზედაც ქაღალდი ჩაწერილი იქნება.

## თავი II.

რეკომის სხდომების ოქმების შედგენის წესი

21) თემა რეკომის სხდომები პერიოდულად იმართება თავმჯდომარის ან მისი მოადგილას მოწვევით კვირაში ორჯერ.

22) ყოველი სხდომის შესაზრზ დაწესებული ფორმით სდგება ოქმი (ფორმა № 5), რომლის დედები ცალკე საქმეთა ინახება, ხოლო ასლები გზავნება მაზრის რეკომის საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვე განყოფილებას.

23) რეკომის სხდომის ოქმებს ხელს აწერს თავმჯდომარე, ყველა დამსწრე წევრი და მდივანი.

24) რეკომის სხდომის მოხსენდება: ა) ის შემოსული ქაღალდები, რომლის პიროვნულად გადაწყვეტას რეკომის თავმჯდომარე ვერ იკისრებს (იხ. მუხ. 4.), ადგილობრივ, ასას უღებლად მიღებული უმაღლეს მთავრობის (მაზრის რეკომი, ყველა სახალხო კომისარიატი, საქართველოს რეკომი) ყველა დეკრეტა, განკარგულება, ბრძანება და ცირკულარი არა უგვიანეს სამის დღისა, დღიდან მისი მიღებისა.

25) რეკომის თავმჯდომარის შეხედულებით რეკომის სხდომები შეიძლება უფრო ხშირადაც გაიმართოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი მთავრობისაგან ასასრულებლად მიღებული საქმე სისწრაფეს მოითხოვს. (იხ. მუხ. 24 ლიტ. ბ.)

## თავი III

მოწმობების გაცემის და აღნუსხვის წესი

26) თემის რეკომი ვალდებულია მისცეს თემის ფარგლებში მუდმივ ან დროებით მცხოვრებთ სხვ და სავა მოწმობები პირადობის (პასპორტის მაგიერ) სიღარიბის, საქონლის ფლობის და სხვ.

27) პირადობის დამამტკიცებელი მოწმობა ცალკე წიგნში აღინიშნება და მას მხოლოდ ამ წიგნის რიგის ნომერი დაესმის (იხ. ფორმა № 6 და 7).

28) ყველა დანარჩენი მოწმობა გასულ ქა-

ღალდების წიგნში ჩაიწერება და დაესმის გასული ქაღალდების ნომერი რაგზე.

29) ყოველგვარ მოწმობაზე საბჭოთა (სახაზინო) ბეჭდის დასმა.

30) ყოველგვარ მოწმობებს ხელს აწერს რეკომის თავმჯდომარე, მდივანი ან მათი თანამდებობის დროებით აღმასრულებელი პირი.

31) ყოველგვარ მოწმობის შავი უსათუოდ უნდა დარჩეს რეკომის საქმეებში.

32) მოწმობას პირუტყვებზე თემის რეკომი მხოლოდ მის შემდეგ გაცემს, როდესაც სამი სანდო მოქალაქის დაკითხვით დარწმუნდება საქონლის კუთვნილებაში, რომელთაც ჩამოართმევს ხელწერილს ან ჩვენებას (თუ წერა-კითხვის უცოდინარო იქნება) მიცემულ მოწმობის საფუძველად. ხელწერილი ან ჩვენება მოწმობის შავთან ინახება (ფორმა 8 და 9).

33) თემის რეკომი ახდენს აღნუსხვას უმაღლეს მთავრობის და მათი განყოფილებების აგენტებისას, რომელნიც თემის რაიონში იქნებიან გაგზავნილნი სამსახურის საქმეების შესასრულებლად (ფორმა № 10).

34) თემის რეკომი უმაღლეს მთავრობის აგენტებს აძლევს მოწმობებს თემის საზღვრებში გატარებულ დროის, საქმეთა შესრულების, გაწეულ ხარჯების და სხვ. შესახებ. თუ აგენტები ასეთი მოწმობების მიცემას სთხოვენ მათ.

## თავი IV,


დანაშაულობათა ოქმების შეყენების და აღნუსხვის წესი.

35) საბჭოთა მთავრობის განკარგულებათა დარღვევასა და წინააღმდეგობაში შენიშნულ პირებზე თემის რეკომი ადგენს სათანადო ოქმს, რომლის დედანი გზავნება მაზრის რეკომის შინაგან მმართველობის განყოფილებას გამომძიებელს ან პოლიტიკურს დამნაშავეს პასუხისმგებაში მისაცემად. ცრთი ასლი უსათუოდ უნდა გაგზავნოს მაზრეკომის შინაგან მმართველობის განყოფილებას ხოლო მეორე რჩება თემის რეკომის საქმეებში.

36) ოქმში უნდა იქნეს აღნიშნული თვე და რიცხვი ოქმის შეყენებისა, თანამდებობა, სახელი და გვარი ოქმის შედგენ პირთა, რა გარემოებაში სად და ვის მიერ არის ჩადენილი დანაშაული და რა ბრალდებას აყენებს თემის რეკომი ბრალდებულის წინააღმდეგ (რომელი განკარგულება საბჭოთა მთავრობის დაადგია დამნაშავემ ან ვის გაუწია წინააღმდეგობა).

37) ოქმში შეიტანება ჩვენება ბრალდებულისა თუ ასეთები აღმოჩნდება, რაზედაც თვით ბრალდებული და მოწმენი აწერენ ხელს.

38) ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით თემის რეკომი ოქმს თავის დასკვნით, დამნაშავეს პასუხის გებაში მიცემის შესახებ გადაუგზავნის ერთ-ერთ 35 მუხლში მოხსენებულ დაწესებულებას საქმისათვის კანონიერ მსჯელობის მისაცემათ.



39) ასეთივე წესი ოქმის შეყენებისა და დანაშაულის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ უნდა დადგენილი იქნას სხვა და სხვა სახის ბოროტმოქმედების შესახებ (ქურდობა, ყაჩაღობა, კაცის პირადი ზურით მოკვლა და სხვ.) ოღონდ ასეთი საქმეები გადაეცემა მხოლოდ გამოძიებელს ან ადგილობრივ სახალხო სასამართლოს, ხოლო მაზრევიკომის შინაგან მართველობის განყოფილებას ეგზავნება პირი ოქმისა.

40. როგორც მუხლი 39-სა, ისე მუხლი 39-ში აღნიშნულ დანაშაულობათა აღსაწესებავად თემის რევკომის პოლიტიკურ დანაშაულობათა და ბოროტ-მოქმედებათა (ცალ-ცალკე) საქმეს აწარმოებს, სადაც იწახება ყველა ასეთი ოქმების ას-ლები.

41) თემის რევკომის წევრთა და მოხელეთა თანამდებობითი დანაშაულობათა შესახებ საქმე ინსტრუქციის ამ თავში აღნიშნული წესითვე სწარმოვის და დანაშაულის მიმართ იმავე ზომებს მიმართავენ, როგორც ამ თავშია აღნიშნული.

### თ ა ზ ი V.

● ფულის ანგარიშის წარმოების წესი.

42) ფულის ანგარიშს თემის რევკომი აწარმოებს შემოსავალ-გასავლის წიგნით (ფორმა № 11).

43) წიგნის საშემოსავლო ნაწილში იწერება: ა. №№ რიგზე, ბ. როდის, ვისგან, რამდენი და რა საქაროებისათვის შემოვიდა (თანხის რაოდენობა სიტყვით) გ. ჯამი (ციფრით), დ. მუხლების №№, რომლითაც ფული გაწერილია გასავალში.

44) წიგნის საგასავლო ნაწილში იწერება: ა. რიგითი №-რი, ბ. როდის, ვის, რამდენი და რა საქაროებისათვის მიეცა (გაცემულ თანხის რაოდენობა სიტყვით) გ. ჯამი (ციფრით), დ. გასამართლებელ საბუთების და საქმის ნომრები.

45) ყველა დანახარჯის ანგარიშები დგება ორ-ორ ცალად: ასლი რჩება საქმეში ხოლო დედანი მიმართვასთან წარედგინება ფულის წარმომგზავნელ დაწესებულებას.

46) ფულის ანგარიშების დანიშნულებისამებრ წარედგენა ხდება ყოველ თვის ბოლოში, აღნიშვნით, რამდენი აქვს თემის რევკომს მიღებული, ვის რამდენი მიეცა (გასამართლებელი საბუთები) რამდენი აქვს გაცემული სულ და რამდენი რჩება თემის რევკომში დაუხარჯავად.

47) ის ფული რომელიც თემის რევკომს ეგზავნება, განსაზღვრული საქაროებისათვის, არ შეიძლება იქნას დახარჯული სხვა ხარჯების დასაფარავად (მაგ. სიმინდის შესასყიდათ გამოგზავნილი თანხა არ შეიძლება იქნას დახარჯული თანამშრომელთა დასაკმაყოფილებლად, ამ რიგადვე თანამშრომელთა დასაკმაყოფილებელი თანხა არ შეიძლება იქნას მოხმარებული სხვა საქაროებისათვის და სხ.).

48) ჯამაგირი თანამშრომელთ ურიგდებათ სამაზრო რევკომის შინა მართველობის განყოფილების მიერ, თემის რევკომი ვალდებულია შინა მართველობის განყოფილებას უგზავნოს ყოველ

თვის ბოლოში მოთხოვნილებების უწყება ერთ ეგზემპლარად, ხოლო მეორე ცალი (უწყებულად) მიიღოს საქმეში (ფორმა № 12), შინაგან მართველობის განყოფილების მიერ მოთხოვნილებების უწყებასთან გამოგზავნილი თანხას, თემის რევკომში, მოთხოვნილების უწყებაზე სათანადო ხელის მოწერის ქვეშ უბრუნებს სამაზრო რევკომის შინაგან მართველობის განყოფილების საერთო ქვე-განყოფილებას.

49) მოთხოვნილების უწყებაში უნდა იქნას აღნიშნული: სახელი მამის, სახელი და გვარი იმ თანამშრომლისა, რომელსაც ეძლევა ჯამაგირი, თანამდებობა, თვითი ჯამაგირის რაოდენობას რომელი თვეებისას ღებულობს, რამდენი აქვს მიღებული აფანისის სახით ან ჯამაგირის ანგარიშში და რამდენი ერგება. ზემო აღნიშნული ცნობების სისწორე უნდა იქნას დადასტურებული თემის რევკომის თავმჯდომარის და მდიანის ხელმოწერით.

### თ ა ზ ი VI.

სასურსათო მატერიალურ წიგნის წარმოების წესი

50) როგორც ფულის ისე სურსათის ანგარიშის საწარმოებლად თემის რევკომი აარსებს სურსათის შემოსავალ-გასავლის (მატერიალური) წიგნს (№ 13 ფორმა).

51) მატერიალური წიგნი განიყოფება რამოდენიმე ნაწილად (განყოფილებად) იმის და მიხედვით თუ რამდენი სხვა და სხვაგვარი სურსათ-სანოვავი არის მიღებული.

52) თითოეულ განყოფილებას წიგნისას აქვს შემოსავალ-გასავლის ფურცელი და ამრიგად თითოეულ განყოფილებაში შეიტანება მხოლოდ ერთ-გვარი სურსათ-სანოვავის შემოსავალ-გასავალი (მაგალითად თუ წიგნის სურსათ-სანოვავის შემოსავალ-გასავლის პირველ განყოფილებაში ჩატანილია მარლი, იქ არც შემოსავალში და არც გასავალში სჭა სურსათ-სანოვავი არ ჩაიწერება.

53) ამრიგად, განყოფილებად დაყოფილ წიგნის ორივე გვერდზე აწერია ამა თუ იმ საგნის სახელი.

54) წიგნს აქვს სარჩევი, სადაც აღნიშნულია, თუ რომელი განყოფილება რამდენ გვერდს შეიცავს.

55) სურსათ-სანოვავის მიღებაში მიმღები აუცილებლად უნდა აწერდეს ხელს მატერიალურ წიგნის საგასავლო ნაწილის შესაფერ გრაფში.

56) მატერიალური წიგნის სათანადო განყოფილების საშემოსავლო ნაწილში იწერება ა) ნომერი რიგზე, ბ) როდის, გ) ვისგან არის მიღებული განყოფილების სათაურში ნაჩვენები სურსათ-სანოვავი და რამდენი ფუთი ან ცალი (რაოდენობა სიტყვით) დ) ჯამი (ციფრით) ე) ნომრები მუხლებისა, რომლითაც სურსათ-სანოვავი გაწერილია გასავალში.

57) გასავლის ნაწილში კი იწერება № რიგზე, ვის, როდის, რამდენი და ვის განკარგულებით მიეცა და მიმღების ხელის მოწერა.

ფორმა № 6. დანართი გზისკ. 278.

ᖃ ᖅ ᖃ ᖃ ᖅ

№ 289

3. მდივანი

五五五五五

ရက္ခယသို့.  
1921 ခု.

三

20

၁၉၁၁

1. 1. 1.

2. თვალები.

მ. შალვაშვილი

4. დამოკიდებულება სამხედრო

ბეგაბასთან

ბაქალავთის სახლი

பெரியபுத்தூர்

১৯৩৫

ქვე რიგზე	მოვისმინეთ	დავადგინეთ	შენი ზენა

ფორმა № 7. დანართი ინსტრ. 27 მუხ.

[illegible]



საქმის № 19  
შინაგან საქმეთა

ს. ს. ს. რ.  
თემის რეგისტრირებული

ფორმა № 8. დან. 32 მუხ.

192 წ.

№

## შ ე რ მ ე ბ ა

სოფ.

ამის წარმომადგენ სოფ. მცხოვრებ მოქ.

ტელეფ. №

ყავს საკუთარი შემდეგის ნიშნულობისა:

1. ტანად 2. ფერად

რის გაყიდვა ან გასაჩუქრების საწინააღმდეგო თემის რეგისტრირებული არ აქვს, რასაც ამით გამოწმობთ.

თაემჯდომარე

შინაგან მმართველობის განყოფილების გამგე

მდივანი

ფორმა № 9. დანართი ინსტ. 32 მუხ.

## ს ე ლ ი ს წ ე რ ი ლ ი

192 წ.

სოფ

ჩვენ ქვემოთ ამისა ხელს მომწერნი სოფ. მცხოვრებნი მოქ

პირადის ჩვენი პასუხის მგებლობის  
ქვეშ ამი ვადასტურეთ ჩვენი ხელმოწერით, რომ სოფ. მცხოვრ. მოქ.

ყავს შემდეგის ნიშნულობისა

შემოადრინიშ-

ნულის შესახებ ყალბ ცნობებს მოწოდებისათვის პასუხისმგებელი ვართ კანონის წინაშე.

1

2

3

მოქ ლაქენი:

ხელის წერალი ჩამოვართყე

თემის რეგისტრირებული თაემჯდომარე

ფორმა № 11 დანართი ინსტრ. 42 პუნ.

დან მიღებულია

გახარჯვის შესახებ,  
მიღებულია

გახარჯულია

ရာဇာဏ

თემის რეგკომის  
თავმჯდომარე  
მდივანი

1921 7.

18

കുറ.

[illegible]



## სირკულიარი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## ყველა მაზრის და ქალაქის რევკომს

თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ ცნობებისა საბჭოთა საქართველოს სხვა და სხვა კუჩხებში ადგილობრივი რევოლუციონური კომიტეტები, უმთავრესად სამაზროები, თავის ინიციატივით და განკარგულებით აწერენ ადგილობრივ მცხოვრებთ სხვა და სხვა გადასახადებს, რომელსაც შეძლე დიდის სიმკაცრით და ენერგიით ახდენებენ.

სამაზრო საქალაქო თუ უფრო მცირე ერთეულების რევკომების მიერ საკუთარი განკარგულებით რაიმე გადასახადის დაწესება და აგრეთვე იძულებითი სესხის შემოღება საბჭოთა კანონმდებლობით სრულიად დაუშვებელია: იგი ნიშნავს ადგილობრივ ორგანოების ძირითად ცენტრის უკიდურეს უყურადღებობას და დაუძორობლობას რაც სრულიად შეუწყნარებელია საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ფინანსური პოლიტიკა მეტად რთული საკითხია. ყოველივე მოვლენა ამ დოკში ზედმიწევნით გადაწულია მთელი ქვეყნის საერთო ეკონომიურ-პოლიტიკურ მდგომარეობასთან და ყოველივე ნაბიჯი ფინანსურ დოკში უკიდურესად შეფარდებული უნდა იქნას საერთო სახელმწიფოებრივ ეკონომიურ პოლიტიკასთან, რის შესახებაც, საერთო წარმოდგენა და შეხედულება მხოლოდ ცენტრს აქვს, რადგან მხოლოდ ცენტრში იყრის თავს ყოველივე ცნობები საერთო ფინანსურ-ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, ამისდა მიხედვით ფინანსური ხასიათის განკარგულებათა გაცემა როგორც გადასახადების ან იძულებითი სესხის დაწესება ფინანსთა სახალხო კომისარიატის გარეშე ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან მხოლოდ მას აქვს შეძლება გაატაროს ერთი მთლიანი ფინანსური პოლიტიკა მთელ სახელმწიფოსათვის, ხოლო ყოველივე სეპარატიული გაბოვლა ამ დარგში ძლიერ ვნებს რესპუბლიკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას როგორც ეს დაამტკიცა ზემოდ აღნიშნულმა სეპარატიულად შემოღებულმა გადასახადებმა, რადგანაც შეიჩნეულია, რომ იმ რაიონებში სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი განკარგულებით დააწერა რაიმე გადასახადი ან იძულებითი სესხი, იქ ძლიერ სუსტად ჩატარდა სახიტარული გადასახადის აკრეფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სჩანს, რომ, ადგილობრივ ხელისუფლების მიერ გადასახადები და სესხის დაწესება გაოდა იმისა, რომ ეს აღემატება მათთვის ძინიჭებულ უფლებებს, ძლიერ ვნებს რესპუბლიკის საერთო ფინანსურ ზომების ჯგერვანად ჩატარებას, ამიტომ კატეგორიულად გიბრძანებთ, რომ 1) მიიღოთ სახელმძღვანელოთ და განუმარტოთ ყველა თქვენდამი ქვემდებარე ხელისუფლების ორგანოს, რომ სრულიად აკრძალულია რაიმე გადასახადის ან იძულებითი სესხის გაწერა მცხოვრებელზე სამაზრო საქალაქო სარაიო-

ფორმა № 15. დანართი ინსტრ. 60 მუხ.

უენიშენა	როდის გაიყიდა საჯარო ვაჭრობით და ვის გადაეცა ამონაგები თანხა	თუ აღმოჩნდა პატრონი როდის ჩაბარდა გასამართლებელი სამართლები	ვის, როდის და რა მიეწერა საქონლის პატრონის მოცენაზე
ვის ჩაბარდა საქონელი შესანახად	როდის, სად და რა პირობებშია ნახაზი	ნაპოვნი საქონლის დასახელება და ნიშნეულება	ნეზიყ ფ.შ. სეფიყ ად.ნ.მ.

ნო ან სათემო რევკომების მიერ, 2) ყოველივე გადასახადის ან სესხის შემოღება შესაძლოა მხოლოდ კანონმდებლობის წესით და ამის შესახებ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ყოველთვის თავის დროზე მიაწვდის ცნობებს ყველა დაინტერესებულ დაწესებულებას და აგრეთვე მცხოვრებთ.

3) თუ ამ ქაშად სწარმოებს ადგილობრივ ორგანოების მიერ შემოღებულ რაიმე გადასახადის ან სესხის აკრეფა, იგი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და აკრეფილ თანხის შესახებ სათანადო ცნობა წარმოედგინოს შინაგან საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს იმის ჩვენებით თუ სად ინახება აკრეფილი ფული. 4) ამ ცირკულიარის მიღებისთანავე მოაწოდეთ ცნობა ფინანსთა სახალხო კომისარიატს. პირი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს წინადაც შემოღებულ და უკვე აკრეფილ გადასახადების და სესხის შესახებ, იმის ჩვენებით თუ რას მოხმარდა ან სად ინახება აკრეფილი ფული.

ამასთანავე გაფრთხილებთ, რომ ამ ცირკულიარის დარღვევაში შემჩნეული რევოლუციონური კომიტეტები დაუყოვნებლივ იქნებიან გადაყენებული და მიცემული პასუხის გებაში.

შინ. საქმ. სახალხო კომისარი  
ბ. კვირკელია.

საინფორმაციო-საინსტრუქტორო განც.  
გამეც დ. ლამბაშიძე.

1921 წ. ოქტომბრის 25.

## სირკულიარი

**ყველა მაზრის და ქალაქის რევკომებს და საადმინისტრაციო დაწესებულებათ.**

რადგან ბათუმის გაშვებულ რაიონში ამ ხანად არსებობს სამხედრო მდგომარეობა, იქ მისვლის ნება ეძლევა სამხედრო-სამოქალაქო სამსახურის პირთ მოვალეობის ასრულების გამო და ყველა კერძო მოქალაქეთ მათ აუცილებელ საჭიროებათა სასტიკი რეგისტრაციის ქვეშ.

რათა ამით საშუალება მოეძოვოს ყველა მაწაწალას, უსაქმოს და მანვე სპეკულიანტს ბათუმში ხეტილისა, ამის გამო გამოქვეყნებულია სამხედრო უწყებისაგან ბრძანება (6 ოქტომბერი 1921 წ. № 64. ქ. ბათუმი), რომელიც იბეჭდება „მოამბის“ № 19.-ში. მეოთხე წამ ბრძანებისა აწესებს, რომ ყველა ბათუმსა და მის რაიონებში მიმსვლელი კერძო პირი ვალდებულია აიღოს თავის მუდმივ ბინადრობის ადგილზე განსაკუთრებულ განყოფილებიდან, საგანგებო კომისიიდან ან ადგილობრივ რევკომიდან წერილობითი ნებართვა, რომელიც შიდა დაწერილობით უნდა იყოს აღნიშნული სოციალური ან თანამდებობის მდგომარეობა ბათუმში წასვლისა, მიზეზი წასვლისა და ხანგრძლიობა იქ დარჩენისა. ამ წესების დარღვევა გამოიწვევს დევ-

ნას და სასტიკს შედეგებს. ამისათვის წინადადებას ეძლევა რესპუბლიკის ყველა რევკომებს და საადმინისტრაციო დაწესებულებათ მკვიდრი ყუილდებით ან სათანადო გულდასმით მოეპყრან ამ დროებით წესის ცხოვრებაში უმტკივნეოდ გატარებას და ფართოთ აღუყონ ბათუმში მიმოსვლის მსურველი საზოგადოება ახალი წესების შესახებ.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარი  
ბ. კვირკელია.

## სირკულიარი

დღევანდელ ნომერში იბეჭდება შრომის სახალხო კომისარის ცირკულიარი № 27 შრომის ბეგარის ასრულების შესახებ ადგილობრივ აღმასრულებელი ორგანოთა მიერ. — წინადადებას ეძლევა ყველა მაზრის, რაიონის და თემის რევკომებს მიღებულ იქნეს უეჭველ სახელმძღვანელოდ ამ ცირკულიარის შინაარსი. შრომის ბეგარის ცხოვრებაში გატარებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ეს ზომა გამოწვეულია უსათუო და აუცილებელი საქვეყნო საჭიროებით, ამის გამო მას უნდა ფრთხილათ და უფლებრივად მოხმარება, მაშინ და მხოლოდ მაშინ იგი მოიტანს იმ სარგებლობას, რომელსაც მისგან მოელის მუშათა და მშრომელ გლეხთა ხელისუფლება, როცა შეურყევლოთ დაცული იქნება წესი, სასტიკი სისტემა და სამართლიანობა და რადგან მუშათა და გლეხთა დიკტატურა შრომის უზენაეს ზედამხედველობას აკუთვნებს შრომის სახალხო კომისარიატს, გვეალება წარუდგინოთ ყოველ საჭირო შემთხვევაში ამ ცენტრალურ დაწესებულებას დასაბუთებული მოხსენება მუშა ხელის ნაწილობრივ მობილიზაციის გეგმისა და მიზნის შესახებ და განახორციელოთ ეს გეგმა მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებთ სათანადო ნებართვას. ამ ცირკულიარის ნამდვილი დედა — მაზრის დამოღვევი ადგილობრივი შრომის ბეგარის აღმასრულებელი ორგანო პასუხს აგებს სარეგულიაციო კანონმდებლობის წესით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი  
ბ. კვირკელია.

## რეგულირება

**სამაზრო და საქალაქო რევკომების საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეობის ყრილობაზე გამოტანილი**

(15 ნოემბერი)

ს. ს. ს. რესპუბლიკის მაზრისა და ქალაქების რევკომებთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეობის ყრილობამ, მოისმინა რა,

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო და საინფორმაციო განყოფილების

მოხსენება მთავრობის პოლიტიკის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების მოღვაწეების (წარსულში და მომავალი მუშაობის გეგმის) შესახებ, ინსტრუქტორობის, ინფორმაციის და მეთვალყურეობის დარგში, სავსებით იზიარებს მთავრობის პოლიტიკას და საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების მომავალში მუშაობის შესახებ, გამოსთქვამს სურვილს, რათა უფრო მეტი მჭიდრო კავშირი დაიქიროს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან საერთოდ და კერძოდ საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილებებთან.

## 2.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მაზრისა და ქალაქების რევკომებთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეების ყრილობამ, მოისმინა რა,

მაზრისა და ქალაქების საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეების მოხსენებანი ადგილებიდან ადგილობრივი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ რესპუბლიკის საზღვრებში თანდათანობით მკვიდრდება საბჭოთა ხელისუფლება და პოპულარს უფრო და უფრო მეტ თანაგრძნობას, საჭიროთ ნახულობს ხაზი გაუსვას მხოლოდ ახალციხე-ახალქალაქში, სამხრეთ-ოსეთ-გორის და ბორჩალოს მაზრებში შექმნილ მდგომარეობას, რომელიც ემუქრება რესპუბლიკის პოლიტიკური ერთეულობის გართულებით და ეროვნული შუღლის გაძლიერებით.

## 3.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მაზრისა და ქალაქების რევკომებთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეების ყრილობამ იკონია რა,

მსჯელობა საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყოფილების რევკომის სხვა განყოფილებათა და ორგანოებთან დამოკიდებულების შესახებ, დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის წინაშე, რათა სავალდებულო გახდეს როგორც მაზრის, ისე ქალაქის რევკომისა და მათი ქვემდებარე ორგანოსათვის:

ა) ყოველგვარი საინფორმაციო მასალის დროზე წარმოდგენა ქვეგანყოფილებაში.

ბ) შესრულება ქვეგანყოფილების, რომელიც შედის მის კომპეტენციაში დაუყოვნებლივ,

გ) წარმოდგენა ქვეგანყოფილებაში ყოველგვარი სხდომის ოქმების,

დ) დასწრება მაზრის და ქალაქის რევკომების იმ სხდომაზე ქვეგანყოფილების გამგის ან მისი მოადგილის, რომელზედაც ირჩევა ქვეგანყოფილების მიერ აღძრული საკითხი.

ე) დახმარება და ხელის შეწყობა ქვეგანყოფილებისათვის მაზრის ყველა რაიონის და თემის რევკომების დასათვლიერებლად, საქმის წარმოების

წესის ნიადაგზე დასაყენებლად და სხ. დებულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებული მოვალეობათა შესრულების დროს.

## 4.

ს. ს. ს. რესპუბლიკის მაზრისა და ქალაქების რევკომებთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმაციო ქვეგანყოფილებათა გამგეების ყრილობამ იკონია რა,

მსჯელობა ქვეგანყოფილების ცენტრთან დამოკიდებულების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში რომ ცენტრის ინფორმაცია დღემდე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე, დაადგინა: განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ მაზრის ქვეგანყოფილების მუშაობისას, რისთვისაც დებულებით და ინსტრუქციით გათვალისწინებული მოვალეობა უნდა იქნეს სავსებით და უდაოთ სირულეში მოყვანილი ე. ი. 1) პერიოდულად წარდგენა მოკლე ამოწურული მოხსენების და სხ. ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ბ) როგორც მაზრის და ქალაქის ცენტრალური ხელისუფლების, ისე ქვემდებარე ორგანოების საერთო მოღვაწეობის და კერძოდ შინაგან მართველობის, თავისი ქვეგანყოფილებით, მუშაობის შესახებ.

გ) მეთვალყურეობა როგორც სრულდება და სრულდება თუ არა ცენტრის მიერ გამოცემული ბრძანება, დადგენილება და სხ. ამის შესახებ ყოველგვარი ცნობის მიწოდება ცენტრისათვის,

დ) წარდგენა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო და საინფორმაციო განყოფილებაში სხდომების, ყრილობების ოქმების რევკომების ბრძანება, განკარგულებათა ასლების, ბოროტმოქმედებათა, სხვა და სხვა შემთხვევების ცნობების, წარმოება და წარდგენა ცენტრში სტატისტიკური ცნობების და სხ. რომლებსაც ქვეგანყოფილება მიიღებს, ან მოაგროვებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა დახმარებით და საშუალებით და სხ.

1921 წ. სექტემბრის 15.

## შრომის სახ. კომისარიატი

### სირბულიარი № 27.

შრომის განყოფილებებს, ინსპექციებს და სამაზრო რევკომებს.

შემჩნეულია, რომ მთავრობის ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები ხშირად მიმართავენ შრომის ბეგარას ამა თუ იმ საზოგადო სამუშაოს შესასრულებლად და ამ მიზნით გამოჰყავთ სამუშაოთ მცხოვრებლები.

შრომის კომისარიატს, რა თქმა უნდა, არა აქვს რა საწინააღმდეგო, რომ სასწრაფო საზოგადო საჭიროების საქმეების შესასრულებლად ადგილობრივ ორგანოებში მოახდინონ ნაწილობრივი



საქმისა

უფრო ბევრი რამ არის ძველი, ვიდრე ეს იყო წინასწარ ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში. რატომ მოხდა ეს ასე? მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი წინასწარი ეკონომიური პოლიტიკა—თუ ვერ ვიტყვით, რომ იმედოვნებდა (იმ გარემოებაში ჩვენ, საზოგადოდ, დიდი იმედები არასოდეს არა გვქონია), ერთით ჰფარებდა მაინც, რომ ძველი რუსეთის ეკონომიკა სახელმწიფოებრივ წარმოებად შეიცვლება და განაწილება კომუნისტურ საფუძველზე მოეწყობა. თუ გავიხსენებთ ლიტერატურას ჩვენ წინასწარ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ, თუ მოვიგონებთ, რასაც სწერდნენ კომუნისტები ძალაუფლების მოპოვებამდე რუსეთში, ან ხელისუფლების აღების შემდეგ უმახლობელესს დროს, მაგალითად 1918 წლის დამდეგს, როცა პირველი პოლიტიკური იერიში ძველ რუსეთზე ასეთი დიდი გამარჯვებით დასრულდა, როცა შეიქმნა საბჭოთა რესპუბლიკა და როცა რუსეთი გამოვიდა იმპერი-ალისტური ომიდან, მართალია ამის შემდეგ რუსეთი ცოტა დამახინჯდა, მაგრამ უარესი დაემართებოდა მას, რომ დაეჯერებინა იმპერიალისტებისა, მენშევიკებისა და ესერების რჩევა სამშობლოს დაცვის შესახებ. დიახ, თუ გავიხსენებთ ყველა ამას, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ იმ პირველ ხანაშიც, როცა ის ის იყო ავასრულეთ პირველი საქმე საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობისა და გამოვედით იმპერიალისტური ომიდან,—ეკონომიურ აღმშენებლობის მიზანთა შესახებ ჩვენ უფრო წინდახედულადა და ფრთხილად ვლაპარაკობდით, ვიდრე 1918 წლის მეორე ნახევარსა და მთელი 1919—1920 წლების განმავლობაში. თუ ყველა თქვენთაგანი არ იყო იმ დროს აქტიური მუშაკი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისა, ყოველ შემთხვევაში გაიცნობდნენ, და რასაკვირველია ეცოდინებათ კიდევ, ისეთი გადაწყვეტილება, როგორიც არიან გადაწყვეტილება სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა გამოტანილი 1918 წ. აპრილის დასასრულს, და გადაწყვეტილება ცენტრალურ კომიტეტისა 1918 წელს, 28 აპრილის თარიღით, რომელნიც აღნიშნავენ გლეხთა ეკონომიკისადმი ანგარიშის გაწევის საჭიროებას, და დიდ მნიშვნელობას როგორც სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისა სოციალიზმის აღმშენებლობისათვის, ისე ინდივიდუალურ, პირად პასუხისმგებლობას ქვეყნის მმართველ-გამგეობის საქმეში, განსახვავებლად ხელისუფლების აღმშენებლობისა და სამხედრო მიზნებისაგან. 1918 წლის დასაწყისში ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მალე დადგებოდა ხანა მშვიდობიან აღმშენებლობისა. ბრესტის ზავის ჩამოგდების შემდეგ განსაცდელი თითქოს დაგვშორდა და გვეგონა, რომ დაიწყო კიდევ ხანა ამ აღმშენებლობისა, მაგრამ მოვსტყუვდით. სწორედ 1918 წელს თავს დაგვატყდა უსაშინელო სი სამხედრო განსაცდელი: აჯანყდნენ ჩეხო-სლოვაკები და გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც დასრულდა მხოლოდ 1920 წ. ერთის მხრით, ანაზღაურად ჩვენს თავზე, დამტყდარ სამხედრო მიზნებისა და, თითქოს, იმ უმწეო და უიმედო მდგო-

მარეობისა გამო, რომელშიც ჩავარდა ჩვენი ქვეყნისა, — დიახ, ამ გარემოებათა და შეიძლება კიდევ სხვა ისეთ მიზეზების გამო, რომელთა შესახებ ლაპარაკიც ამ ეტაპად შეუძლებელია, ჩვენ ის შეცდომა მოგვივიდა, რომ გადავსწყვიტეთ უშუალოდ გადასვლა კომუნისტურ წარმოებასა და განაწილებაზე. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ განაწიერის შემდეგ გლეხები მოგვცემდნენ საკმაო პურს, რომელსაც ჩვენ განაწილებთ ქარხანა-ფაბრიკებზე და გამოვა კომუნისტური წარმოება და განაწილებო. გადაჭრით ვერ ვიტყვი რომ ჩვენ სწორედ ასეთი განსაზღვრული და ნათელი გეგმა გვქონდეს, მაგრამ დაახლოვებით ასე კი ვმოქმედებდით. სამწუხაროდ, ეს ფაქტია! მე ვამბობ სამწუხაროდ მეთქი, იმიტომ რომ სულ მცირე ხნის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი ჩვენი მოქმედება დიდი შეცდომა იყო და სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რასაც ჩვენ ვწერდით წინად კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის შესახებ; დაგვარწმუნა, რომ სოციალისტურ ანგარიშ-გებისა და კანტროლის ხანის გაუფლელად შეუძლებელია შედგომა კომუნისმის უმდაბლეს საფეხურზედაც კი. თეორეტიულ ლიტერატურაში, დაწყებული 1918 წლიდან, როცა ჩვენ წინ აღიმართა მიზანი ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და ეს ჩვენი მიზანი ბალშევიკებმა მთელ ქვეყანასაც შევატყობინეთ,—ხანგასმით და გადაჭრით აღვნიშნავდით, რომ სოციალისტურ ანგარიშებისა და კანტროლის გზით კაპიტალისტურ საზოგადოებიდან კომუნისტურ საზოგადოების პირველ საფეხურამდე მიღწევასაც კი სჭირია ხანგრძლივი და რთული პერიოდის გავლა. ეს კი თითქოს დაგვაიწყდა გახურებულ სამოქალაქო ომის დროს აღმშენებლობისაგან საჭირო ნაბიჯების გადადგმისას. ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკა არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ამ ღონისძიებით განვიცადეთ უდიდესი დამარცხება და ვიწყეთ სტრატეგიული უკან დახევა. ვიდრე საბოლოოდ არ დავმარცხებულვართ, მოდით, უკან დავიხიოთ და დავიწყოთ სულ ახალი, მაგრამ მტკიცე აღმშენებლობა. კომუნისტებს არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ ჩვენ განვიცადეთ ეკონომიური მარცხი ეკონომიურსავე ფრონტზე და განვიცადეთ მეტად მძიმე დამარცხებაც, ამიტომ ჩვენ სრულიად შეგნებულად ვაყენებთ სულ სხვაგვარ საკითხს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შესახებ. რასაკვირველია, ამ ხანაგების ერთი ნაწილი აუცილებლად ჩავარდება მეტად მწვავე და თავბრუდასხმელ მდგომარეობაში. უკან დახევისა გამო ეს ხალხი მიეცემა გამოუთქმელ შიშსა და ძრწოლას. ეს აუცილებელი მოვლენაა მეთქი, მოგახსენეთ. უკან დახევის დროს წითელი ჯარიც ხომ იმითი იწყებდა თავის გამარჯვებას, რომ თავზარდაცემული გამოჩნდებოდა ხოლმე. ყოველ დროს და ყოველ ფრონტზე ასეთი პანიკა ზოგიერთებს მუდამ ემჩნეოდათ. მაგრამ ყოველ დროს და ყოველ ფრონტზე,—კოლჩაკის ფრონტზეც, დენიკინის ფრონტზეც, იუდენიჩის ფრონტზეც, ვრანგელის ფრონტზეც და პოლონე-

თის ფრონტზეც, — ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ იმის შემდეგ, როცა ერთხელ და ხან მეტადაც, რიგანად გვებგვავდნენ, ჩვენ ზედმიწევნით ვამართლებდით ხალხის თქმულებას: „ერთს ნაცემში ორ უცემარს იძლევიან“ („за одного битого, двух небитых дают“), გალახვის შემდეგ ჩვენ ვიწყებდით ხოლმე იერიშების მიტანას დინჯად, სისტემატიურად, ფრთხილად. რასაკვირველია, ეკონომიური ფრონტის მიზნები უფრო მძიმე და რთულია, ვიდრე მიზნები სამხედრო ფრონტისა, მაგრამ საერთო მსგავსება სტრატეგიის ამ ელემენტარულ ხაზმოსაში მაინც არის. 1921 წლის გაზაფხულს, კომუნიზმზე გადასასვლელად გაწეულ ცდის გამო, ეკონომიური ფრონტზე ჩვენ ბევრად უფრო სერიოზული დამარცხება განვიცადეთ, ვიდრე სამხედრო ფრონტებზე. დენიკინისა, ან პილსუდსკის მიერ მოყვნიებული მარცხი სახსენებელი არც კია ამ მარცხთან შედარებით, ვინაიდან ეს მარცხი გამოიხატა იმაში, რომ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის ზეგანი, ზედაპირი, სრულიად მოწყვეტილი ყოფილა ქვეგანს, ნიადაგს, და ვერ შეჰქმნა საწარმოო ძალთა ის აღორძინება, ის აღფრთოვანება, რომელიც ჩვენი პარტიის პროგრამით აღიარებულია ძირითად და აუცილებელ მიზნად. განაწერი სოფლად და უშუალო კომუნისტური ღონისძიებანი, მიღებულინი აღმშენებლობის საქმეში ქალაქად, — აი ის პოლიტიკა, რომელმაც შეუშალა ხელი საწარმოო ძალთა აღორძინებას. ეს პოლიტიკა შეიქმნა ძირითად მიზეზად იმ ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისისა, რომელსაც ჩვენ წავაწყდით 1921 წლის გაზაფხულზე, აი, რად მოხდა ის, რასაც ჩვენი საზოგადო პოლიტიკის თვალსაზრისით არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა რამ სახელით, თუ არა დამარცხება და უკან დახევა. ამასთანავე ეს უკან დახევა, ისე როგორც უკან დახევა ჩვენი წითელი ჯარებისა, არ არის მაინც და მაინც მწყობრი უკან დახევა წინდაწინვე გაზადებულ პოზიციებისაკენ, თუმცა პოზიციები წინდაწინვე გვექონდა მომზადებული. ამის შემოწმება შეიძლება ჩვენი პარტიის მიერ 1921 წლის გაზაფხულზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაპირისპირებით ზემოდ აღნიშნულ, 1918 წლის აპრილში გამოტანილ, გადაწყვეტილებასთან. დიახ, პოზიციები წინდაწინვე იყო მომზადებული, მაგრამ ამ პოზიციებისაკენ დახევა მოხდა, (ხოლო პროვინციების ბევრ ადგილას ამ წუთშიაც ხდება) ფრიად სკამო და იქნება ზედმეტ არე-დარევეთაც.

ამით წინა რიგებში დგება ძირითადი მიზანი პოლიტიკანებისა (პოლიტ. განათლების დაწესებულებათა). ახალი ეკონომიური პოლიტიკის თვალსაზრისით არსებითი საკითხი იმაშია, თუ ვინ უფრო ადრე მოასწრებს აქ სარგებლობას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოასწავებს განაწერის შეცვლას გადასახადზე, მოასწავებს გადასვლას კაპიტალიზმის აღორძინებაზედ, ამა თუ იმ ზომამდე. რა ზომისა იქნება ეს აღორძინება — ჩვენ არ ვიცით.

კონკრესიები საზღვარგარეთელ კაპიტალისტებთან, თუმცა, მართალია, დღევანდელ დღეებში, როცა ხელშეკრულება გვაქვს დადებული, იმ წინადადებებთან შედარებით, რომელიც ჩვენ წარუდგინეთ და იჯარა კერძო კაპიტალისტების მიერ აღებული, აი რა გახლავთ პირდაპირი აღდგენა კაპიტალიზმისა, რომელიც დაკავშირებულია ახალ ეკონომიურ პოლიტიკის ფესვებთან. განაწერის გაუქმება გლახებისათვის ნიშნავს იმ ზედმეტ სამეურნეო ნაწარმოებით თავისუფალ ვაჭრობას, რომელიც ნაწარმოებზე რჩება გლახს გადასახადის გაღების შემდეგ. გადასახადში კი მას ერთმევა ძალიან მცირე ნაწილი.

გლახობა შეადგენს მთელ მცხოვრებთა და მთელი ეკონომიკის უდიდესსა და პუმბერაზ ნაწილს და ამიტომ თავისუფალ ვაჭრობის ნიადაგზე არ შეიძლება რომ კაპიტალიზმი არ გაიზარდოს. ეს გახლავთ ეკონომიური საანბანო ქეშმარიტება, რომელსაც გვასწავლის ეკონომიურ მეცნიერებათა ყოველი შესავალი, ხოლო ჩვენში კი, ამას გარდა, ამავე ქეშმარიტებას გვასწავლის ყოველი მეტომრე, ყოველი ჩარჩი, ის არსება, რომელიც მშვენივრად გვაცნობს ჩვენ ეკონომიკას ეკონომიურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა გარეშე. სტრატეგიული თვალსაზრისით, ძირითადი საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ ვინ უფრო ადრე და მალე ისარგებლებს შექმნილი მდგომარეობით? მთელი კითხვა იმაშია: ვის გაჰყვება გლახობა — პროლეტარიატს, რომელიც ესწრაფვის სოციალისტურ საზოგადოების შექმნას, თუ კაპიტალისტს, რომელიც ამბობს: „გავბრუნდეთ უკან, ეს უფრო ხელსაყრელია, თორემ ახლა რაღაც სოციალიზმი გამოიგონესო“.

აი ასპარეზი მთელი თანამედროვე ომისა: ვინ გაიმარჯვებს, ვინ უფრო ადრე ისარგებლებს? კაპიტალისტი, რომელსაც კარებს ვუხურავთ, ვინაიდან ბევრია ისეთი კარი, რომელიც ჩვენ არ ვიცით და რომელიც იღება ჩვენს გარეშე და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, თუ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება? ვისზე, ან რაზე შეუძლია მ.ს. დაყრდნობა? ერთის მხრივ, მისი დასაყრდნობა მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მხრივ საჭიროა გავიხსენოთ გლახობა. ყოველად უდავოა და ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ მიუხედავად ისეთი დიდი უბედურებისა, როგორიც არის სიმშლილობა, მცხოვრებთა მდგომარეობის გაუმჯობესება — აღნიშნულ უბედურების გამოკლებით, დიწყო სწორედ იმ დღიდან, როცა შეიქცალა ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა.

მეორეს მხრივ, თუ გაიმარჯვებას მოიპოვებს კაპიტალიზმი, თანდათან გაიზარდება სამრეწველო წარმოება, ხოლო მასთან ერთად გაიზარდება პროლეტარიატიც. ჩვენი პოლიტიკის მეოხებით დიდად მოიგებენ კაპიტალისტები და შეჰქმნიან სამრეწველო პროლეტარიატს, რომელმაც ომისა და უმწყო ნგრევა-რღვევის გამო, დაჰკარგა თავის კლასობრივი სახე, ე. ი. ამოვარდა თავის კლასობრივ კლასობრიდან და გაჰქრა, როგორც პროლეტარიატი. პროლეტარიატი ჰქვია იმ კლასს, რომელიც

მსხვილ კაპიტალისტურ სამრეწველო დაწესებულებებში ჰქმნის ნივთიერ ღირებულებათ. რამდენადაც დაინგრა მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რამდენადაც გაჩერდნ ქარხანა-ფაბრიკები, იმდენად მოისპო, გაჰქრა, პროლეტარიატიც. ის ხანდახან ფორმალურად ითვლებოდა, მაგრამ იგი არ იყო შეკავშირებული ეკონომიურ ფესვებთან.

თუ კაპიტალიზმი აღსდგება, მაშასადამე აღსდგება პროლეტარიატიც, გართული საზოგადოებისათვის სასარგებლო მატერიალურ ღირებულებათა შექმნაში, მსხვილ მანქანა-ფაბრიკების ქერქვეშ და არა გართული სპეკულიაციით, ან ასანთების გაკეთებით და სხვა „სამუშაოთი“, რომელთაც დიდი სარგებლობა არ მოაქვთ, მაგრამ რომლებიც ასე აუცილებელია ჩვენი რეწველობის საერთო ნგრევის ხანაში.

მთელი კითხვა იმაშია: რომელი რომელს გაასწრებს? მოასწრებენ თუ არა კაპიტალისტები უფრო ადრე მოწყობა-შეკავშირებას—თუ მოასწრეს, მაშინ კომუნისტებს გარეკენ, დაიფრენენ. ამას თქმა აღარ უნდა. ასეთ ამბებს ფხიზლათა და გაბედვით უნდა ვუყუროთ: ვინ ვის? თუ პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იმდენს უნარს გამოიჩენს, რომ გლეხობაზე დაყრდნობილი, თავის დროზე ამოსდებს ლეგამს ბატონ კაპიტალისტებს, კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ კალაპოტში ჩასაყენებლათა და სახელმწიფოსადმი დასამორჩილებათ და სასამხატუროდ? აი როგორი საკითხი უნდა დაეყენოთ ფხიზლად და გაბედვით: ყოველი იდეოლოგია აქ, ყოველი მსჯელობა სხვადასხვა თავისუფლებათა შესახებ—არის მხოლოდ ისეთი ლაყბობა, რომელსაც ბევრს გავიგონებთ ყველგან, ნამეტნავად თუ ყურს დავეუბნებთ საზღვარგარეთის რუსეთს, რუსეთს ნოქერ მეორეს, სადაც ათობით გამოდის ყოველდღიური გაზეთი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიისა, სადაც ხოტბა დიდებით იხსენიებენ ამ თავისუფლებებს ყოველ გვარის პანგიო, ყოველგვარ ნოტებზე აწყობით, რომელი ნოტებიც კი ბუნებაში მოიპოვებოდა. დიახ, ყველა ეს მხოლოდ ლაყბობაა, მხოლოდ ფრაზებია, ყოჩაღი ის არის, ვინც მოხერხებულად აარიდებს თავს ამ ფრაზებს.

ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრი სერიოზული ბრძოლა გადავიხადეთ და ვისწავლეთ კიდევ, რომ ერთი სერიოზული ბრძოლა და სულ სხვა საქმეა ლაყბობა ამ სერიოზულ ბრძოლის შესახებ ნამეტნავად ლაყბობა ისეთი პირებისა, რომელნიც განზე გამდგარან. საჭიროა მეტი კაცმა თავი აარიდოს ამ იდეოლოგიას, ამ ლაყბობას და ღრმად ჩაუკვირდეს საქმის დედა აზრს, მის შინაარსს. საქმის შინაარსი კი ის არის, რომ ბრძოლა კვლავ არსებობს და იარსებებს კიდევ უფრო თავგანწირულად, უფრო მძაფრად, ვიდრე ეს იყო კოლჩაკ-დენიკინის დროს. ეს იმიტომ, რომ ის ბრძოლა, ბრძოლა სამხედრო—შეწვეული ქირია. ასე და ათასი წლობით იბრძვის ხალხი. ომებში გამარჯვების ხელოვნებამ დიდი ნაბიჯი წადგა წინ.

თითქმის, ყველა მემამულის შტაბშია კი იყ-

ვნენ ესერები და მენშევიკები, რომლებიც მამამულ-დენ ხალხის უფლებისა, „უჩრდილკისა“ და იმის შესახებ, რომ ბალშევიკებმა დაარღვიეს ყოველი უფლებათა.

სამხედრო ამოცანის გადაჭრა, ყოველ შემთხვევაში, უფრო ადვილია, ვიდრე გადაჭრა იმ ამოცანისა, რომელიც ახლა ჩვენს წინაშე სდგას: სამხედრო ამოცანის გადაჭრა შეიძლება იერიშით, კვეთებით, ენტუზიაზმით, თუ გასჭირდა, თიზიკური ძალით მაინც იმ უამრავი მუშათა და გლეხებისა, რომლებიც ხედავდნენ, რომ მათ ებრძოდა მემამულე. ახლა მემამულენი აშკარად აღარა სჩანან. ვრანგელოლები, დენიკინელები, კოლჩაკები—ზოგი გამგზავრა ნიკოლოზ რომანოვთან, ზოგმა კი თავი შეაფარა საზღვარგარეთის უშიშარ ადგილებს. თავის წინანდელ მტრებს—მემამულეთა და კაპიტალისტებს—ხალხი ვეღარა ხედავს. ისეთ აშკარა სურათს, რომ მტერი ჩვენს შორისვეა, რომ იგი ისევ ის არის, რაც იყო, რომ რევოლიუციას სდგას წინაშე რაღაც უფსკრულისა, რომელსაც წასწყდომია და უკან დაუხევია ყველა წინად მომხდარი რევოლიუციას:—ხალხი ვერ წარმოიდგენს, ამის შეგნება არა აქვს მას და არა აქვს იმიტომ, რომ იგი იმყოფება დიად სიბნელეში, იგი უანბანო, უმეცარია. და ძნელი სათქმელია, თუ რამდენხანს მოანდომებენ ყოველგვარი საგანგებო კომისიები ხალხის ამ უფიცობისა და უანბანობის აღმოფხვრას!

მაშ, საიდან შეიძლება წარმოიდგინოს ხალხმა, რომ კოლჩაკისა, ვრანგელისა და დენიკინის ნაცვლად, აქვე, ჩვენს შორის იმყოფება ის მტერი, რომელმაც დალუბა ყველა ძველი, წინად მომხდარი რევოლიუცია? თუ კაპიტალისტებმა გვაჯობეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ ძველ ცხოვრებას დავუბრუნდებით. ამის თავდებია გამოცდილება ყველა წინა რევოლიუციებისა. ჩვენი პარტიის მიზანი და მოვალეობაა შეაგნებინოს ხალხს, რომ მტერი ჩვენსავე შორის არის და ეს მტერია: ანარქიული კაპიტალიზმი და ანარქიული გაცვლა-გამოცვლა საქონლისა. საჭიროა, რომ გარკვეულად შეასმინონ მუშათა და გლეხთა ფართე მასებს ბრძოლის ეს არსი, საჭიროა აშკარად იცოდეს ხალხმა: რომელი რომელს? ვინ დაასწრებს გამარჯვებას? დიქტატურა პროლეტარიატისა არის ყველაზე მძაფრი, ყველაზე გაცოფებული ბრძოლა, რომლითაც მას უხდება შეჯახება მთელ სამყაროსთან, ვინაიდან მთელი მსოფლიო მოდიოდა ჩვენს წინააღმდეგ, უჭერდნ რა მხარს კოლჩაკსა და დენიკინს.

ახლა კი მთელი ქვეყნიერების ბურჟუაზია ეხმარება რუსეთის ბურჟუაზიას და ჩვენზე ბევრად ძლიერად არის, მაგრამ ამის გამო ჩვენ არ ვეძლე-ვით პანიკას, შიშსა და ძრწოლას, იმიტომ რომ იმათ სამხედრო ძალაც გაცილებით ჩვენზე მეტი ჰქონდათ და მაინც ეს საკმაო არ შეიქმნა ჩვენდა დასამარცხებლათა და გასასრესად ბრძოლის ველზე, თუმცა ბურჟუაზიულ თოფ-ზარბაზნებისა და ჰაერო-პლანების პატრონებს, შეეძლო ჩვენი განადგურება. შეიძლება ამისათვის საკმაო ყოფილიყო ამა თუ იმ კაპიტალისტურ სახელმწიფოს რამდენიმე კორ-

პუისის გამოწვევა ბრძოლის ველზე და რამდენიმე მილიონი ოქროს სესხება კოლხაისადმი.

მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა, იმიტომ რომ სიყალბე მათი და სიმაართლე ჩვენი შეიგნო ინგლისის ჯარის კაცთა ფართო მასსამ, რომელიც არხანგელსკში იყო გადმოსხმული. სიმაართლე ჩვენი საქმისა შეიგნეს მეზღვაურებმაც, მატროსებმაც, რომელთაც აიძულეს ინგლისის ფლოტი ოდესიდან გამოსულიყო. ახლა ჩვენ წინააღმდეგ კვლავ ამხედრდა ბევრად ჩვენზე უფრო ძლიერი ძალა და რომ აქაც გავიმარჯვოთ, საჭიროა დავეყრდნოთ უკანასკნელ წყაროს ჩვენი ძალისას. ეს უკანასკნელი წყარო ძალისა არის:—მუშათა და გლეხთა ფართო მასები, მათი შეგნება—ცნობიერება, მათი შეკვრა—შეკავშირება.

ან ორგანიზაციულად მოწყობილი პროლეტარული ხელისუფლება—მოწინავე მუშები და მცითე ნაწილი შეგნებული გლეხებისა მიხედვით ამ თავის მიზანს, შექმნიან ხალხოსნურ მოძრაობას რაეის გარშემო—და მაშინ ჩვენ გამოვალთ გამარჯვებულნი.

ან ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ და მაშინ ჩვენზე გაცილებით ძლიერი მტერი—ძლიერი თავისი ტეხნიკით, უეჭველად დაგვაპარცხებს.

ლიქტატურა პროლეტარიატისა არის გამძვინვარებული ომი. პროლეტარიატმა გაიმარჯვა ერთს ქვეყანაში, მაგრამ რჩება უძლურად საერთაშორისო მასშტაბით. მან უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველა მუშა და გლეხი, და გააერთიანოს ისინი იმ შეგნებით, რომ ომი ჯერ არ დასრულებულა. მართალია ჩვენ ვმღერით ხოლმე, რომ „ეს არის ჩვენი საბოლოო და გადამჭრელი ბრძოლა“ მაგრამ სამწუხაროდ, ეს მართალი არ არის, სამწუხაროდ ეს არ არის ჩვენი საბოლოო და გადამჭრელი ბრძოლა, ან უნდა მოახერხოთ მუშებისა და გლეხების შეერთება ამ ბრძოლის გარშემო, ან და გამარჯვებას უნდა გამოეთხოვოთ.

ასეთი ბრძოლა, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ, ჯერ არ ყოფილა ისტორიაში. თუმცა ბრძოლა გლეხებისა მეზამულებების წინააღმდეგ ბევრჯერ ახსოვს ისტორიას დღიდან მონათ-მფლობელობისა. ასეთი ომები დიან რომ ბევრი ყოფილა ისტორიაში, მაგრამ ომი სახელმწიფოებრივ ხელისუფლებისა წინააღმდეგ თავის ქვეყნის ბურჟუაზიისა და წინააღმდეგ ყველა ქვეყნის შეერთებულ ბურჟუაზიისა—ისტორიას არ ახსოვს.

მოვახერხებთ, თუ ვერა წვრილ გლეხების გაერთიანებას, მის საწარმოო ძალთა აღორძინების საფუძველზე და პროლეტარულ ხელისუფლების დახმარებით, თუ კაპიტალისტი გახდება მისი (გლეხობის) პატონ-პატრონი?—აი რა გადასწყვეტს ბრძოლის ბედს. ასეთი მდგომარეობა ყოფილა არა ერთი და ორი რევოლუციის დროს, მაგრამ ჩვენი დროის ომისთანა ომი კი კაცობრიობას ჯერ არ უნახავს. იმიტომ ხალხს ვერ მოვსთხოვთ გამოცდილებას, ეს გამოცდილება უნდა შევქმნათ ჩვენ თვითონ და ამ გამოცდილების შესაძენად ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ მუშათა და გლეხების შეგნ-

ბას,—აი რაშია დევიზი და უდიდესი მომენტალური ამოცანისა.

ჩვენ იმედი არ უნდა გვქონდეს კომუნიზმში უშუალოდ გადასვლისა. საქმე უნდა ავაგოთ გლეხის პირადად დაინტერესებაზე. ჩვენ გვეუბნებიან: „პირადი დაინტერესება გლეხისა—კერძო საკუთრების აღდგენას ნიშნავსო“. არა! პირადი საკუთრება მოსახმარ საგნებსა და იარაღებზე ჩვენ არასოდეს გლეხისათვის არ მოგვისპია. ჩვენ გავაუქმეთ კერძო საკუთრება მიწაზე, ხოლო გლეხი ეწეოდა მეურნეობას უკერძოსაკუთრებოთ, მაგ. იჯარით აღებული მიწაზე. ეს სისტემა არსებობდა მრავალ ქვეყნებში. აქ ეკონომიურად შეუძლებელი არ არის რა. სიძნელე მხოლოდ იმაშია, რომ პირადად დაინტერესო. საჭიროა აგრეთვე დაინტერესებული იქმნეს თითოეული სპეციალისტიც, რომ გულიანად მოეკიდოს წარმოების განვითარების საქმეს.

ვახერხებდით კი ჩვენ ამას? არა, არ ვახერხებდით. ჩვენ ვფიქრობდით,—რომ კომუნიზტურ ბრძანება-სურვილისამებრ შეიქმნება წარმოება და მოხდება განაწილება ისეთ ქვეყანაში, სადაც კლასობრივ სახე დაკარგული (დეკლასიური) პროლეტარიატია. ჩვენ უნდა შევცვალოთ ეს, იმიტომ რომ უამისოდ ჩვენ ვერ გავაცნობთ პროლეტარიატს ამ გადასვლას. ასეთი ამოცანები ისტორიას ჯერ არ წამოუყენებია. ჩვენ შეგვცადეთ ამ ამოცანის გადაჭრის დოსტოლრივ მიხტომით, ასე ვსთქვათ, შუბლის იერიშით, მაგრამ ჩვენი ცდა მარცხით დამთავრდა. ასეთი შეცდომა ყოველი ომის დროს მოხდება ხოლმე, მაგრამ იგი შეცდომათ არ ითვლება. ვერ მოხერხდა შუბლის იერიშით საქმის გაკეთება? მაშ, შემოვუაროთ მტერს სხვა გზით, ვიმოქმედოთ ალყისა და სანგრების საშუალებით!

და ჩვენ ვაპოვებთ, რომ სახალხო მეურნეობის ყოველივე მსხვილი დარგი უნდა აშენდეს პირადი დაინტერესებით. გასჯა-განხილვა—საერთო ძალით, ხოლო პასუხისმგებლობა—კი—პირადი. ამ დებულების აუსრულებლობისა გამო ჩვენ ზარალი მოგვდის ფეხის ყოველ ნაბიჯზე. მთელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ ეს მოვალეობათა განაწილება გატარებულ იქმნას აბსოლუტურ სიმტკიცითა და აუცილებელი პატიოსნებით.

როდესაც ხალხი ჩადგა ახალ ეკონომიურ პირობებში, ერთმანეთს მიაწყდა და კითხულობდა: რა გამოვა აქედან, როგორ უნდა დავიწყოთ ახალი აღმშენებლობა? ვიდრე საერთო, საჯარო თათბირი და მსჯელობა არ მოხდებოდა, არაფრის დაწყებაც არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ ათი და ასი წლობით ხალხს აკრძალული ჰქონდა რაიმეს განსჯა-განხილვა. რევოლუციის კი ვერ განვითარდებოდა, თუ ის არ გაივლიდა ყველა კითხვების საყოველთაო, საჯარო და უნივერსალურ მიტინგებზე განხილვის ხანას.

ამან კი ბევრ შემთხვევაში დიდი გაუგებრობა და აზრთა არეულობა გამოიწვია. ეს ასე იყო და ასეც უნდა მომხდარიყო აუცილებლად, მაგრამ

უნდა ითქვას რომ აქ საშიშროება არაფერია, საბჭოთა რესპუბლიკის სათანადო სიმართლეს აყენებს მხოლოდ მაშინ მივალწევთ, როცა ვისწავლით იმის გარკვევას და გაყოფას, თუ რომელი საკითხია სამიტინგო და რომელი სამმართველო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერაც ვერ გვისწავლია და ამიტომ ბევრი ჩვენი ყრილობა მოკლებულია ხოლმე საქმიანობის ხასიათს.

ყრილობათა სიმრავლით მთელი ქვეყნის ყველა სახელმწიფოსა გვჯობნით. არც ერთი დემოკრატიული რესპუბლიკა, არ მართავს იმდენ ყრილობას, რამდენსაც ჩვენ და არც დაუშვებს ამდენ ყრილობას.

ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი ქვეყანა დაზარალებულ-გალაჩივებულია და უნდა ვასწავლოთ ისეთი მიტინგების გამართვა, რომ ერთმანეთში არ აურიოს—როგორც უფე ვსთქვით,—ის, რაც საჭიროა მიტინგისათვის და ის, რაც ხელსაყრელია მართვა გამგეობისათვის. იმიტინგე, მაგრამ მმართველ უყვამნოდ. იოტის ოდენა ჩყევას აქ აღვლი არ უნდა ჰქონდეს. მმართველ ქვეყანა მტკიცედ, იმაზე უფრო მტკიცედ, ვიდრე მმართველა კაპიტალისტები, უამისოდ შენ მას ვერ დაამარცხებ. საჭიროა მარად გახსოვდეს, რომ მართვა ქვეყნისა უნდა იყოს უფრო სასტიკი, უფრო მტკიცე, ვიდრე ეს იყო წინად.

წითელ ჯარში, მრავალ თვეების განმავლობაში გამართულ მიტინგების შემდეგ ისეთი დისციპლინა იყო, რომ ძველი ჯარის დისციპლინას არ ჩამოუვარდებოდა. იქ შემოღებულ იქმნა ისეთი სასტიკი ზომები, ისეთი უღმრთო მოპყრობა, რომ ძველ მთავრობას არც კი მოჰგონებია. ხშირად ვხვდებოდით ხოლმე კიდევ. მეშინებოდა სწერდენ და ბლაოდენ: „დახეთ. ბალშევიკებმა დახვრიტა შემოიღეს“. ჩვენ უნდა ვსთქვათ: „დახ, შემოვიღეთ და შემოვიღეთ სრულის შეგნებით“!

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ან უნდა დაიღუპნენ ისინი, ვისაც ჩვენი დაღუპვა სწალია და ან ვისი დაღუპვაც ჩვენ საჭიროდ მოგვჩნია და მხოლოდ მაშინ იხიარის და იცოცხლებს ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა, ან ცოცხალი დარჩებიან კაპიტალისტები და დაიშლება ჩვენი რესპუბლიკა. იმ ქვეყანაში, რომელიც გაღატაკდა, დაიღუპებიან ან ისინი, რომლებიც ძაღლონეს ვერ მოიკრებენ, ან მუშათა და გლეხთა მთელი რესპუბლიკა. აქ სხვა არჩევანი შეუძლებელია და არც უნდა იყოს, ისე როგორც არ უნდა ჰქონდეს აღვლი არავითარ სანტიმენტურობას, გულჩვილობას. სანტიმენტურობა ისეთივე დანაშაულია, როგორც თავის ტყვის გაფრთხილება იმის დროს. ის, ვინც არ იცავს წესებს დისკიპლინისას, თავის წრეში ათარეშებს და ამრავლებს მტრებს.

აი რისთვის ვამბობ მე, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მნიშვნელობა აქვს მეთქი სწავლების მხრივაც. თქვენ აქ მსჯელობთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს. თქვენ უნდა სთქვათ ისიც,—იმ დასკვნამდე უნდა მიხვიდეთ, რომ ზარმაცსა და ცოდნის შეძენის არ მსურველს

ჩვენში აღვლი არა აქვს. მაშინ, როცა უმრავლეს შემთხვევაში დამყარდება, სწავლებაც შეიძლება იქნება, ახლა კი ვამბობ, რომ სწავლა უნდა იყოს სასტიკი და მძაფრი—დაღუპვის შიშის ქვეშ.

ჩვენ გვყავდა დეზერტირები არმიიდან, ჩვენ გვყავდა ისინი შრომის ფრონტზედაც: შენ მუშაობდი კაპიტალისტის—და მყიდველის სასარგებლოდ და აღვლი გასაგებია, რომ მუშაობდი ცუდად, უგულოდ,—ეხლა კი მუშაობ შენი თავისათვის, იღწვი მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის. გახსოვდეს, რომ გადასაწყვეტია საკითხი: მოვახრებთ თუ ვერა ჩვენ ჩვენი თავისათვის მუშაობას, უამისოდ კი—დიმორგებ—ჩვენი რესპუბლიკა დაიშლება და ჩვენ ვამბობთ, როგორც ვამბობდით წითელ არმიისა—ან უნდა დაიღუპნენ და მოიხიზნენ ისინი, ვისაც ჩვენი დაღუპვა სურს და მაშინაღამე, აქ ჩვენ უნდა მივიღოთ უსასტიკესი ზომები დისკიპლინისათვის ან ჩვენ ვიხსნით ქვეყანას და იცოცხლებს ჩვენი რესპუბლიკა.

აი როგორი უნდა იყოს ჩვენი ხაზი, აი, (სხვათა შორის) რისთვის გვჭირია ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკაც.

იშრომეთ და იპატრონეთ ყველამ. კაპიტალისტები ამოვიღებოდა გვერდში. თქვენ გვერდით იქნებიან უცხო ქვეყნის კაპიტალისტები, კონკრეტული ინგოები და მოიჯარადრენიც. ისინი ჩაიჯობავენ მოგებას ასი პროცენტით. ისინი თქვენ გვერდით გასუქდებიან და გამდიდრდებიან. დაიგამდიდრდნენ, თქვენ კი ისწავლეთ შრომა-მეურნეობა და მხოლოდ მაშინ უნდა მოიხიზნოს რესპუბლიკის აშენება. სწრაფად შესწავლის საჭიროების დროს ყოველი უგულობა, ყოველ გვარი სისუსტე დანაშაულის უდრის, და ჩვენც უნდა დავადგეთ ამ მძიმე და ხანდაზმან მრისხანე შესწავლის გზას, ვინაიდან სხვა გამოსავალი ჩვენ აღარ გვაქვს.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ მრავალ წლიან განაცდელ გამოვლელი და გაღატაკებული ჩვენი საბჭოთა ქვეყანა გარე შემორტყმულია არა სოციალისტურ საფრთხეებისა და არა სოციალისტურ ინგლისისაგან, რომელთაც შეიძლოა მოგვიმტაცებოდნ თავისი მაღალ ტენიკითა და მრევრობით, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი მათი მაღალი ტენიკა და მაღალი მრევრობა დღეს ეკუთვნით კაპიტალისტებს, რომლებიც ჩვენ წინააღმდეგ არიან გამოსულნი.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ან უმალავსად უნდა თავიშობოთ ჩვენი ძალები ყოველ დღიურ შრომაში, ან და ჩვენ მოგვეღოს აუცილებელი დაღუპვა.

არსებულ ვითარებათა გამო მთელი მსოფლიო ჩვენზე მალე და უკეთ ვითარდება. ვითარდება რა კაპიტალისტური მსოფლიოც. მთელ თავის ძაღლონეს ჩვენ წინააღმდეგ ხმარობს. აი როგორა სდვას საკითხი! აი რაღამ უნდა მივაქციოთ ამ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენ უკუღმართობის გამო შოშლით მიტანილ იერიშით ჩვენ ვერ დავღუპავთ კაპიტალიზმს. კულ-



ტურის სხვა დონეზე შეიძლება საკითხის უფრო პირდაპირ გადაჭრაც და შეიძლება სხვა ქვეყნებში ასეც გადასჭრან, როცა იქ დაიწყება ხანა კომუნისტურ რესპუბლიკების აღშენებისა, მაგრამ ჩვენ კი პირველის გზით ვერ გადავჭრით საკითხს.

სახელმწიფომ უნდა ისწავლოს ვაჭრობა ისე, რომ მარწველობამ კმაყოფილ ჰყოს გლეხობა და ამ ვაჭრობამ საშუალება მისცეს გლეხებს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ თითოეულმა მშრომელმა თავისი ძალღონე მოახმაროს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს განმტკიცებას. მხოლოდ მაშინ შეიქმნება მსხვილი მრეწველობა.

საჭიროა, რომ ამ შეგნებით გაიმსჯელოს მასები და გაიმსჯელოს ისე, რომ პრაქტიკულად განახორციელოს შეგნება იგი. აი საიდან გამომდინარეობენ — მოგახსენებთ მე — პოლიტიკურ განათლების მიზნები. ყოველ ღრმა პოლიტიკურ გადატრიალების შემდეგ ხალხს დიდი დრო სჭირია რომ შეიგნოს და შეითვისოს ეს გადატრიალება და აი აქ იბადება საკითხი: შეიმცნო, შეიგრძნო და შეითვისა თუ არა ხალხმა ის გაკეთილები, რომელიც მას უმოძღვრის? უღრმესი მწუხარებით უნდა განვახადოთ რომ ხალხს ჯერ არაფერი შეუგნია; ეს რომ ყოფილიყო, მაშინ ჩვენ უფრო სწრაფად და უფრო მოკლე გზით შევქმნიდით მსხვილ მრეწველობას.

მათელ ქვეყანაზე უუდიდეს პოლიტიკურ გადატრიალების შემდეგ, ჩვენ წინაშე აღიმართენ სულ სხვა საკითხები, საკითხები კულტურული ხასიათისა, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ «პატარა მცირე საქმეები». საჭიროა ეს პოლიტიკური გადატრიალება გადახარშოთ, ხელ მისაწდომი გაიხადოთ მცხოვრებთა მასისათვის და ისე დავაყენოთ საქმე რომ გადატრიალება იგი არ დარჩეს მარტოოდენ დეკლარაციად.

თავის დროზე საჭირონი იყვნენ ეს დეკლარაციები; განცხადებანი, მანიფესტები, დეკრეტები, რაც უკვე საკმაოდ მოგვეპოება. ყველა, ეს მეთქი საჭირო იყო თავის დროზე, რომ ხალხისათვის გაგვეგებინა როგორ და რანაირად ვეპირებოდით ახალი საქმის გაკეთებას; მაგრამ განა შეიძლება ხალხს მუდამ ვაჩვენებდეთ იმას რის გაკეთებაც გვინდა? შეუძლებელია! სულ უბრალო და მდებარე მუშაც კი მასხარად აგვიგდებს და გვეტყვის რა სულ იმას მეჩინებთ ესა და ეს უნდა ავაშენოთ, შენ საქმე დამანახვე, თუ შეგიძლია რისამე გაკეთება, თორემ მე შენთვის აღარა მცალია, ეშმაკსაც წაუღიხარ შენც და შენი საქმეცაო! და სრულიად მართალიც იქნება.

უკვე წავიდა ის დრო, როცა შეიძლება პოლიტიკური გეგმებისა და ამოცანების ხატვა, ხაზვა. ახლა დადგა დრო პრაქტიკული მუშაობისა დღეს ჩვენ წინაშე სდგანან კულტურულ ხასიათის მიზნები, ჩვენ უნდა გადავხარშოთ პოლიტიკური გამოცდილებანი და ვაქციოთ იგინი საქმედ, ცხოვრებად. ან უნდა დაიღუპოს საბჭოთა მთავრობისა და ხელის უფლების ყველა პოლიტიკური მონა-

პოვარი, ან მათ უნდა შევუდგავთ გეგმობითი საძირკველი. ეს საძირკველი არ გვაქვს დღევანდლამდე და ამიტომ აი, რა უნდა გავაკეთოთ! მიზანი — კულტურის ამაღლება — ერთი მორიგი მიზანთაგანია პოლიტიკურ განათლების დაწესებულებათა, თუ მართლა სურთ რომ ემსახურნენ პოლიტიკურ განათლებას, როგორც უწოდებენ თავის მოღვაწეობას. სახელის დარქმევა ადვილია, მაგრამ ამართლებენ თუ არა ამ სახელს? აი რა არის საკითხავი. ვიმედოვნებთ, რომ ამ ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩვენ მივიღებთ დაწვრილებითი ცნობებს მათი საქმიანობის შესახებ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია ჩვენ დაგვარსეთ 1920 წლის 19 ივლისს. ამ ყრილობაზე მოსვლამდე მე განვებ წავიკითხე დეკრეტი ამის შესახებ.

სრულიად რუსეთის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია... ეს კიდევ ცოტაა — საგანგებო კომისია წერა-კითხვის უცოდინარობის ამოსაფხვრელად. ვიმედოვნებთ, რომ, ამ ყრილობის დასასრულს ჩვენ მივიღებთ რამდენიმე გუბერნიიდან ცნობებს იმის შესახებ თუ რა გაკეთებულა ამ დარგში, რასაკვირვოლია, მას, თან მოჰყვება, დაწვრილებითი ანგარიშიც. მაგრამ ის გარემოება, რომ ჩვენ იძულებული შეიქმენით დაგვეარსებინა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ (უფრო რბილად რომა ვსთქვა) ნახევრად ვილური ხალხი ვართ, იმიტომ, რომ იქ, სადაც ნახევრად ვილური ხალხი არა სცხოვრობს, სამარცხვინო იქნებოდა დაარსება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიისა, იქ სკოლების მეოხებით სპობენ წერა-კითხვის უცოდინარობას. იქა აქვთ რიგიანი სკოლები და ხსწავლიან... რას? პირველ ყოვლისა, წერა-კითხვას. იქ-კი, სადაც ელიმენტარული ამოცანა გამოუყვანელი და აუხსნელია, ახალ გეგმობით პოლიტიკაზე ლაპარაკიც-კი სასაცილოა.

ან როგორი ახალ პოლიტიკაზე უნდა ვილაპარაკოთ? ღმერთმა ჰქნას რომ ძველი მაინც შევგრძნოთ, რა-კი ჩვენ იძულებული ვართ საგანგებო კომისიებით ვებრძოლოთ წერა-კითხვის უცოდინარობას, რასაც ყველანი ვხედავთ მაგრამ უფრო თვალსაჩინო ის არის, რომ ბევრი რამ საკვირველი ჩავიდინეთ სამხედრო საქმესა, თუ სხვა დარგებში. ამ საკვირველებათა შორის, მე მგონია, ყველაზე საკვირველი იქნებოდა ის, რომ საბოლოო ლიკვიდაცია გვექნა თვით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიისათვის. როგორც აქ ყური მოგვარ, აღძრულა თურმე პროექტი ამ კომისიის განათლების სახალხო კომისარიატიდან გამოყოფის შესახებ. თუ ეს მართალია, და თქვენ ამას კარგად ჩაუყარდებით, მაშინ დამეთანხმებით, რომ საჭირო ყოფილა შექმნა საგანგებო კომისიებისა, ზოგიერთი საბაგელ პროექტების სალიკვიდაციოთ!

ეს კიდევ ცოტაა: საკმაო არ არის ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა, საჭიროა აღშენება საბჭოთა მეურნეობისა და ამიტომ

მარტო ან-ბანის ცოდნა შორს ვერ წავიყვანს. ჩვენ გვჭირია კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა, რომ ადამიანმა საქმით მოიხმაროს წერა-კითხვის ცოდნა, საჭიროა მას ჰქონდეს საკითხავი მასალა, საჭიროა რომ მას ჰქონდეს გაზეთები და საპროპაგანდო წიგნაკები; საჭიროა, ეს გაზეთ-წიგნაკები თავის დროზე მისდით დეს ხალხს, რიგობად იყოს განაწილებული და გზაში არ იკარგებოდეს, ან კანცელიარებში არ იხმარებოდეს რალაც-რალაცებზე. საჭიროა შესაფერისად მოვიხმაროთ ის მცირედი რამ მაინც, რაც მოგვეპოვება.

აი, რა არის მიზანი, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, საჭიროა დაუთავალავად ვავრცელებდეთ იმ აზრს, რომ პოლიტიკურ განათლებისათვის აუცილებელია ამაღლება კულტურისა, რადგან არ უნდა დაგვიჯდეს ეს. უნდა შევეცადნეთ, რომ წერა-კითხვის ცოდნა ემსახუროს ულტურის ამაღლებას, რათა გლეხმა წერა-კითხვის ცოდნა მოანდომოს თავის მეურნეობისა და ესაზღვრებულთა გაუმჯობესებას.

საბჭოთა კანონები ყოველად ძვირფასი და კარგია არიან იმ მხრივ, რომ ყველას აძლევს საშუალებას ებრძოლოს ბიუროკრატისმსა და მიწერ-მოწერის გაჭიანურებას. არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო ამის ნებას არ აძლევს მუშებსა და გლეხებს. მერე ვინა სარგებლობს ამ საშუალებით? თითქმის არავინ! არა მარტო გლეხმა, არამედ კომუნისტთა დიდმა უმრავლესობამაც არ იცის როგორ ისარგებლოს საბჭოთა კანონებით, წინააღმდეგ მიწერ-მოწერის გაჭიანურებისა, ბიუროკრატისმისა და ისეთ, ჭეშმარიტად რუსულის მოვლენისა, როგორიც არის მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! საბრძოლველი კანონები რამდენიც ვნებათ, იმდენია. მაშ რატომ არა სჩანს გამარჯვება და შედეგი ამ ბრძოლისა? იმიტომ რომ ამისათვის საკმარისი არ არის მარტო პროპაგანდა, საჭიროა თვით ხალხის მასმაც და გეგმობის მხარე. ჩვენი კომუნისტების ნახევარზე მეტმა ბრძოლა არ იცის, — არ ეხერხება ეს ბრძოლა, ხოლო იმათზე ხომ, ვინც ხელს უშლის მათ ამ ბრძოლაში, ლაპარაკიც ზედმეტია. 99 პროცენტი თქვენთაგანისა კომუნისტია და თქვენ იცით, რომ ამ უკანასკნელთაღმე ჩვენ ვაწარმოებთ აპროპაციებს, რომლებსაც ასრულებენ პარტიის გამწმენდი კომისიები. იმედია, რომ პარტიიდან დავითხოვთ ასი ათასი კაცამდე: ზოგნი ამბობენ დათხოვნილთა რიგები ორასი ათასამდე იქნებაო და მე ეს უფრო მომწონს.

მე დიდი იმედი მაქვს, რომ პარტიიდან გავრეკთ 100—200 ათას ისეთს კომუნისტს, რომლებიც მიეწებენ პარტიას და რომელთაც არა თუ არ იცოდნენ ბრძოლა კანცელიარულ გაჭიანურება—მექრთამეობასთან. არამედ ხელსაც-კი გვიშლიან მათთან ბრძოლაში.

ის გარემოება, რომ ჩვენი პარტია გაიწმინდება ასი თუ მეტი ათასი კაცისაგან, დიდად სასარგებლო იქნება ჩვენთვის, მაგრამ ეს სულ უმცირესი ნა-

წილია იმისი, რაც უნდა გავაკეთოთ ჩვენს საქმეში, რომ პოლიტიკური განათლების მწარმოებლებმა მთელი ძალადონე, მთელი მიზნები მოახმარონ ამას. რასაკვირველია ბრძოლა წინააღმდეგ წერა-კითხვის უცოდინარობისა, კარგი საქმეა და საჭიროც არის, მაგრამ არც ესა კმარა. საჭიროა ის კულტურა, რომელიც გვასწავლის ბრძოლას საქმის გაჭიანურებასა და მექრთამეობასთან. ეს ისეთი ავადმყოფობაა, რომელსაც ვერ მოარჩენთ ვერავითარი სამხედრო გამარჯვებითა და პოლიტიკური ცვლილებებით. ისეთი უცნაური თვისება აქვს ამ ავადმყოფობას, რომ მას მოარჩენს მხოლოდ ამაღლებული კულტურა და ეს ამოცანა კისრად ადევს პოლიტიკურ განათლების მწარმოებელთ.

საჭიროა, რომ პოლიტიკურად განმანათლებელთათვის დანიშნულება არ ესმოდეს ჩინოვნიკურად, რაც აგრეთვე ხშირად შეგვინიშნავს ხოლმე, როცა ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ არ შეიძლება პოლიტიკურ განათლების მწარმოებელთა საგუბერნიო ეკონომიურ კავშირში ჩაირიცხოსო. ბოდიშს-კი ვითხოვ, მაგრამ საჭირო არ არის თქვენი სადმე ჩაირიცხვა, თქვენ მოვალენი ხართ თქვენი საქმე შესრულოთ როგორც უბრალო მოქალაქეებმა. როცა თქვენ შედისხართ დაწესებულებაში გაბიუროკრატდებით ხოლმე, ხოლო თუ თქვენ საქმე გექნებათ ხალხთან და პოლიტიკურად დაიწყებთ მის განათლებას, გამოცდილება დაგანახებთ რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხს არა ჰყავთ მექრთამეები, ჩვენ-კი ყოველ ნაბიჯზე მოგვეჩვენება ისინი. თქვენ გკითხვენ: „როგორ უნდა მოვიტყუოთ რომ მექრთამეობა არ იყოს, რომ აღმასრულებელ კომიტეტში ამან და ამან ქრთამები არ იღოსო“. და თუ პოლიტიკურად განმანათლებელმა უპასუხა: „იგი ჩვენ უწყებაში არ არის, ჩვენ გამოცემული გვაქვს ამ საქმის გამო წიგნაკები და პროკლამაციებიო“, ხალხი თქვენ გეტყვით: „პარტიის ვერაფერი წევრები ყოფილხართ. მართალია, ეს თქვენ უწყებას არ შეეხება, ამისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექცია არსებობს, მაგრამ თქვენ ხომ პარტიის წევრები ხართო“. თქვენ დაირქვით სახელი „პოლიტიკური განმანათლებელი“. როცა თქვენ ამ სახელს ირქმევდით, გაგაფრთხილეს: ნუ შეტოვებთ ძალიან სახელწოდებაში, დაირქვით მოღვაწეობის შესაფერი სახელიო. მაგრამ თქვენ მაინც „პოლიტიკურ განმანათლებლის“ სახელი ირჩიეთ და ამ სახელში-კი ბევრი რამ არის მოქცეული: თქვენ ხომ არ დაირქვით სახელი ისეთი კაცებისა, რომელნიც ასწავლიან წერა-კითხვას. თქვენ ირჩიეთ წოდება „პოლიტიკურ განმანათლებლისა“, ამიტომ შეიძლება ვითხრან: „ძალიან კარგია რომ თქვენ ასწავლით ხალხს წერა-კითხვას, ისიც ჩინებულია, რომ ამყობთ და ასრულებთ ეკონომიურ კომპანიებს, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური განათლება. პოლიტიკური განათლება ნიშნავს ყველაფრის თავმოყრას, ჯამის გაკეთებას“.

ბარბაროსობისა და ისეთი ავადობის წინააღმდეგ, როგორიც არის მექრთამეობა, ჩვენ ვიწმინდით პროპაგანდას და, იმედი მაქვს, რომ თქვენც

ეწეოთ, მაგრამ პოლიტიკური განათლება ამით არ ამოიწურება. პოლიტიკური განათლება ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, იგი ნიშნავს სწავლებას ხალხისას, თუ როგორ, რა საშუალებითა და ზომებით უნდა მივაღწიოთ ამ შედეგებს. თქვენ უნდა აჩვენოთ ხალხს მავალითები არა როგორც აღმასრულებელ კომიტეტის წევრებმა, არამედ როგორც უბრალო მოქალაქეებმა, რომელთაც აქვთ უფრო მეტი პოლიტიკური განათლება, ვიდრე იმათ, ვინც მხოლოდ აგინებს საქმის ყოველგვარ გაქიანურებას—ამ მხრივ ჩვენ დიდად წინასწარი ვართ—ლიახ, თქვენ უნდა აჩვენოთ ხალხს საქმით, თუ რა გზით უნდა მოისპოს ეს გაქიანურება. ეს კი მეტად ძნელი ხელოვნებაა, ისეთი ძნელი ხელოვნება, რომელიც შეუძლებელია დაიძლიოს იქამდე, ვიდრე კულტურულად უფრო არ ავმადლებით, ვიდრე მუშათა და გლეხების მასებს არ განვანათლებთ, იმაზე მეტად, როგორიც დღეს არიან! პოლიტიკურ განათლების მუშაკთა აი რომელი დანიშნულებისათვის მინდოდა მიმეცია მეტი ყურადღება.

ახლა მე მინდა გავუეთო მოკლე დასკვნა ყველა იმას, რაც ვსთქვი და აღენიშნო პრაქტიკული შედეგები ყველა იმ მიზნებისა, რომლებიც სდგანან საგუბერნიო პოლიტიკურ განათლების მუშაკთა წინაშე.

ჩემის აზრით არის სამი უმთავრესი მტერი, რომლებიც ამ ქამად სდგანან ადამიანის წინაშე, მიუხედავად მისი საუწყებო როლისა და რომლებიც სდგანან პოლიტიკურად განმანათლებელის წინაშეც, თუ იგი კომუნისტია. ასეთი კი უმრავლესობაა. ის სამი მტერი, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე არიან: პირველი მტერი—კომუნისტური ყოყლოჩინაობა და გულხვიალობა, მეორე—წერაკითხვის უცოდინარობა და მესამე—ქრთამი.

კომუნისტური ყოყლოჩინაობა ის არის, რომ იმ კაცს, რომელიც ჯერ კიდევ პარტიაში ითვლება, იმიტომ რომ იქიდან მისი გამოძევება ვერ მოუხწვრიათ, წარმოუდგენია, რომ ყველა თავის ვალდებულებათა ასრულება შეიძლება კომუნისტური დეკრეტებით. ვიდრე ის პარტიაშია და მსახურებს ამა თუ იმ დაწესებულებაში, ასე ჰგონია, რომ შეუძლია ილაპარაკოს პოლიტიკურ განათლების შედეგებზეც. ვინ მოახსენა! ეს მხოლოდ კომუნისტური ყოყლოჩინაობაა. შესწავლა იმისი, თუ როგორ უნდა გავანათლოთ პოლიტიკურად, აი რაშია საქმე, ჩვენ კი ასეთი ცოდნა ჯერაც არა გვაქვს. არც კი ვიცით, როგორ მივუდგეთ ამ საქმეს.

რაც შეეხება მეორე მტერს—წერაკითხვის უცოდინარობას,—უნდა მოგახსენოთ, რომ ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიც არის წერაკითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი მეტად ძნელია. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა, ეს პირობაა, ურომლისდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება. წერაკითხვის უცოდინარი კაცი პოლიტიკის გარეშე სდგას, მას პირველ ყოვლისა, უნდა ასწავლოთ ანა ბანა. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია.

ბელია, უამისოდ არის მხოლოდ ყურმოკრული აშხები, ქორები, ზღაპრები, ცრუმორწმუნეობა, არა პოლიტიკა.

დასასრულ, არის ისეთი მოვლენა, რომელსაც ჰქვია ქრთამი. თუ ასეთი რამ არსებობს, პოლიტიკაზე ფიქრიც სულ მეტია. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკის ხსენებაც კი არ შეიძლება. წარმოება მისი ხომ ყოველად უხერხულია, ვინაიდან ყოველი მიღებული ზომა ჰაერში ჩამოვკიდება და არავითარ შედეგს არ მოგვცემს. თუ სადმე დაშვებული და გავრცელებულია ქრთამი, კანონის შეფარდება უარესია. ასეთ შემთხვევაში ვერავითარი პოლიტიკა ვერ ისაქმებს, ვინაიდან აქ არ არის ძირითადი პირობა პოლიტიკის დასაწყებად, ხალხს რომ დაეუსახოთ ჩვენი პოლიტიკური მიზნები, ხალხის მასებს რომ დავანახოთ: „აი რა მიზნები გვაქვსო“ (ეს კი დიდი ხანია უნდა გვექმნა) უნდა გვესმოდეს, რომ ამისათვის საჭიროა მასათა კულტურის მაღალი დონე. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ კულტურის განსაზღვრულ დონეს. უამისოდ-კი ასრულება ჩვენი მიზნებისა შეუძლებელია.

კულტურული ამოცანა ისე ადვილად ვერ გადაიჭრება, როგორც გადაიჭრებოდა ხოლმე პოლიტიკური ან სამხედრო ამოცანები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ წინმსვლელობის პირობები დღეს სულ სხვა გვარია. კრიზისის გაშვავების დროს პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება შეიძლება რამდენიმე კვირის განმავლობაში. ომში გამარჯვება შეიძლება მოხდეს რამდენიმე თვეში. კულტურული გამარჯვება კი ამ დროის განმავლობაში წარმოუდგენელია. ასეთია თვისება თვით საქმისა. აქ საჭიროა უფრო ხანგრძლივი ვადა; საჭიროა ერთგვარი შეთვისება, შეწყობა ამ ვადისა და გამოანგარიშება სამუშაოს; საჭიროა შეუღრეკელობა, დაჟინება, თანდათანობა. თუ კაცს ეს თვისება არა აქვს, მან არც უნდა მოჰკიდოს ხელი სხვისი პოლიტიკურად განათლების საქმეს. პოლიტიკურ განათლების შედეგები უნდა იზომებოდეს მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით. საჭიროა მოსპობა არამც თუ წერაკითხვის უცოდინარობისა, არამც თუ მექრთამეობისა, რომლის ნიადაგიც არის იგივე უანზანობა, არამედ საჭიროა, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი სახელმძღვანელოები, ჩვენი წიგნაკები შეთვისებულ იქმნენ ხალხის მიერ საქმით და რომ შედეგად ამისა შეიქმნეს გაუმჯობესება სახალხო მეურნეობისა.

აი რა მიზნები აქვს პოლიტიკურ განათლებას ჩვენ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ვისურვებ, რომ ჩვენი ყრილობის მეოხებით ამ მხრივ მივაღწიოთ დიდსა და თვალსაჩინო წარმატებას.

**ადმინისტრაციულ პრეზიუმთა განყოფილებაში**

ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელობის დროს არა ერთხელ დამდგარა მთავრობის წინაშე

იმაში მდგომარეობს, რომ იგი აწესრიგებს და ადვილებს ფულის ტრიალს, რაიც სავსებით გასაგებია ზემონათქვამიდან.

დასასრულ, ბანკი აწვდის ფინანსებს სახელმწიფოებრივსა, საზოგადოებრივსა და კერძო დაწესებულებებს და ქალაქისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებებს.

ბანკის ეს ფუნქცია ფრიად მნიშვნელოვანია საბჭოთა აღმშენებლობისათვის. საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა ფართო სამოქმედო ასპარეზს აძლევს და აქედან კერძო ინიციატივას სახელმწიფოს სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში. დამუშავებულ მრეწველობის წარმოებათა მთელი რიგი არ შედის სახელმწიფოებრივ ექსპლუატაციის საერთო ფარგლებში და იგი ელის კერძო ინიციატივას, კერძო შრომისა და კაპიტალისაგან ამოძრავებას. ეს წარმოებები იჯარით ეძლევა პირობით, ან კონცესიის საფუძველზე, კერძო პირებს, ან ისეთ ჯგუფებს, რომლებიც განვითარებული არიან სხვა და სხვა საზოგადოებებში, ან კოოპერატივებში. ამ წესით რუსეთში უკვე გაცემული არის ორასზე მეტი ფაბრიკა და ქარხანა.

საბჭოთა საქართველოც იმავე გზას დაადგა და აქაც საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ კერძო პირებს იჯარით გადაეცა მთელი რიგი წარმოებათა

რასაკერძოვლია, არა მარტო არსებულ წარმოებათა იჯარით გაცემას, არამედ ახალ სამრეწველო მნიშვნელობის წარმოებათა დაარსებასაც სათანადო ყურადღება აქვს მიქცეული და იმ კერძო პირებს, ან ჯგუფებს, რომლებიც ასეთ მიზნებს დაისახავენ, სახელმწიფო დაეხმარება. ეს გამოიხატება არა მარტო ნატურალურ, წმ. მატერიალურ დახმარებაში, ე. ი. მათ მიეცემათ არა მარტო მასალები, შენობები, მიწები, ინსტრუმენტები, იარაღი და სხვ. არამედ აგრეთვე მიეცემათ სესხად ფულიც პროცენტით, ან უპროცენტოთ.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებათათვის საფინანსო დახმარებას. სასოფლო-მეურნეობა ყოველთვის განიცდის ხოლმე უფულობას სწორედ იმ მომენტში, როცა ძალიან საჭიროებს ფულს.

ამ ეამად, როდესაც მთელს რესპუბლიკაში უნდა დაიწყოს ფართო სამელოირაციო მუშაობა, მიღებული არის ზომები სახელმწიფოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასაწევად და გასანაყოფიერებლად. ბანკის წესდების ამ პუნქტს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა სახალხო ბანკს აძლევს 10 მილიარდ მან. ფულის ნიშნებს ძირითად კაპიტალად. ეს თანხა, ეხლანდელ ფულის კურსის მიხედვით არ შეიძლება ჩავთვალოთ დიდ თანხათ. იგი სრულიად უმნიშვნელო იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მხოლოდ სანიტარული გადასახადი საქ. რესპუბლიკაში 50 მილიარდ მან. უდრის, რომლიდანაც 35 მილიარდი უკვე მოკრებილი არის.

მაგრამ საქმე იმაშია რომ მუშათა და გლეხთა სახალხო ბანკისათვის, ბანკ და მარტო იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი აქვს კაპიტალი, რადგან ეს კაპიტალი არ არის მისი ოპერაციების და ვალდებულებების უზრუნველყოფი, როგორც ეს ხდება ბურჟუაზიულ ბანკებში, არამედ იგი არის მხოლოდ ძირითადი ფონდი, რომელიც ყოველთვის შეიძლება გადიდებულ იქნას.

სახალხო ბანკის ოპერაციების და ვალდებულებების პასუხის-შეგებლობას კისრულობს საქართველოს რესპუბლიკა მთელი თვისი ავლა—დიდებით (წესდების მესამე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკის ყველა ვალდებულებები კერძო პირებისა თუ დაწესებულებების წინაშე მტკიცედ იქნება შესრულებული.

ბანკისადმი მიბარებული კაპიტალი შეუძლებელია შეკრულ ან სექვესტრ—დადებულ იქნას იმ შემთხვევებს გარდა, რომლებიც გათვალისწინებულია რესპუბლიკის კანონებით (იხ. წესდების 6 მუხ.). მძაფრ რევოლიუციონურ ბრძოლის დასაწყისშივე მუშათა და გლეხთა ხელის უფლება სცდილობდა რომ ბურჟუაზიისათვის წაერთმია მისი მთავარი ძალა—ფული, მისი კაპიტალი, რომელიც მრავალ-რიცხოვან ბანკებში იყო დაგროვილი. არავითარი გამარჯვება ბურჟუაზიაზე არ შეიძლებოდა, თუ მას არ წაერთმეოდა ის დოვლათი, რომელიც მის ხელში იყო. პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია. მუშათა და გლეხთა მთავრობის ერთი უპირველესი აქტთაგანი პეტერბურგში, ბანკების და ყველა მათში მოთავსებულ ლირებულებათა ნაციონალიზაციის გამოცხადება იყო. ამით ბურჟუაზიამ მაშინვე დაკარგა თავისი სიმძლავრე და, სრულიად დასუსტებულმა, რევოლიუციონურ პროლეტარიატის შეტევა ვეღარ მოახერხა. პროლეტარიატმა დაიბრუნა ყველა ის ლირებულება, რომელიც ბურჟუაზიამ საუკუნეების განმავლობაში მუშების და გლეხების გაყვლეფით დააგროვა. რევოლიუციონური ბრძოლა პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვებით, და ბურჟუაზიის სასტიკ დამარცხებით დამთავრდა. და ის ლირებულებანი, რომლებიც სახალხო ბანკშია დაგროვილი, ეხლა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ეკუთვნის და ცხადია, იგი არავითარ შეკვრას, სექვესტრის დადებას და რეკვიზიციას არ ექვემდებარება, გარდა კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებისა; ყოველ წესიერად მოწყობილ სახელმწიფოში ეს ასეც უნდა იყოს.

ბანკი, თვის ოპერაციებში არ ეძებს საწარმოვო მოგებას; რადგან იგი მუშათა და გლეხთა წარმოება, მთელი წმინდა მოგება საბანკო ოპერაციებისა რესპუბლიკის კეთილ დღეობას ემსახურება. ამგვარად, ბანკის შემოსავალი მოხმარდება არა კერძო პირთა გამდიდრებასა და ჯიბის გავეებას, არამედ რესპუბლიკის დოვლათის გამრავლებას და მისი საფინანსო ძლიერების განმტკიცებას.

კერძო პირთა, საზოგადოებათა და დაწესებულებათაგან მიღებულ თანხებს ანუ კაპიტალს, ბანკი მათი დანიშნულებისამებრ ატრიალებს სხვა და სხვა ოპერაციებში, რაიც პირდაპირ, უშუალოდ შეადგენს მათ ინტერესს; ეს თანხები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთო სახელმწიფოებრივ ხარჯებისათვის, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს არ აქვს უფლება ისარგებლოს ამ კაპიტალით თავისი მიმდინარე ხარჯებისათვის.

სახალხო ბანკი აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს: 1) ანაღლებს თამასუქებს და სხვა ვადიან ვალდებულებებს; 2) გასცემს სესხს; 3) იღებს ანაბარს ფულად და შესანახად; 4) ყიდის და ყიდულობს თამასუქებს და სხვა საფასურებს; 5) გადაგზავნის ფულს და ასრულებს სხვა საკომისიო ოპერაციებს.

ბანკის ეს ოპერაციები ანალოგიურია საერთოდ ყოველი ბანკის ოპერაციებისა და არავითარ განსაკუთრებულ რამ მოვლენას არ წარმოადგენენ.

თავის თავად თამასუქების და სხვა ვადიან ვალდებულებათა განაღდება ოპერაციების გახსნა, თუ მივიღებთ მხედველობაში თამასუქების მნიშვნელობას ვაჭრობა—მრეწველობაში საზოგადოდ, ფრიალ დიდი მნიშვნელობისა არის სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით. რესპუბლიკის ახალ ფინანსიურ—ეკონომიურ პოლიტიკის წარმოების დროს თამასუქების განაღდება ფრიალ მძლავრი იარაღი იქნება ეკონომიური კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბანკი მიიღებს გასანაღლებლად მარტივს და შეპირებულ თამასუქებს, გაცემულს როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე საზღვარ—გარედ, თუ იმ თამასუქის განაღდება დანიშნულია ერთ-ერთ იმ ადგილას ანუ პუნქტში, სადაც არსებობს ბანკის დაწესებულებანი ან მისი კორესპონდენტები იმყოფებიან. ბანკის ოპერაციები განისაზღვრება მხოლოდ სათამასუქო უფლებით დაწესებულ ნორმების მიხედვით, ვინაიდან მის გარეშე ისინი კარგავენ ყოველგვარ აზრს.

სახელმწიფო ხელს უწყობს რა ქვეყნის ვაჭრობა—მრეწველობას, იღებს მთელ რიგ ზომებს მის გასაადვილებლად და ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

ჩვენი ეკონომიურ ცხოვრების მთავარ ფაქტორების დაშლის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი კრედიტის უქონლობა არის. ყველასათვის ცხადი და ცნობილია ის გარემოება, რომ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში კრედიტი უდიდეს როლს თამაშობს. კრედიტის გარეშე შეუძლებელია ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. ამიტომ, ბანკები ითვალისწინებენ რა ამ გარემოებას, უხსნიან ფართო კრედიტს ყველა იმათ, რომლებიც საჭიროებენ ამ სესხს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისათვის. სახელმწიფოს, თავის სპეციფიურ თავისუფლებათა გამო, არ შეუძლიან ამ მიზნისათვის წმინდა კრედიტის გაღება. სესხის გა-

ცემა მას შეუძლიან მხოლოდ განსაზღვრული გირაონობის ქვეშ. ბანკი სესხებს გასცემს მხოლოდ ისეთ საქონლის გირაონობის ქვეშ, რომლებიც მალე და ადვილად არ ფუჭდებიან, ან ისეთ დოკუმენტების გირაონობის ქვეშ, რომლებიც ადარსებებიან, რომ სესხის აძლევს ნამდვილად აქვს საქონელი.

იმ კრედიტს, რომელსაც სავაჭრო ან სამრეწველო წარმოების პატრონი იღებს სესხად სახალხო ბანკიდან, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილ და საშუალო წარმოების პატრონთათვის, რადგან ეს კრედიტი მათ აძლევს საშუალებას თან და თანობით გააფართოვონ წარმოება და ხელი შეუწყონ ღირებულებათა გაცვლა—გამოცვლას სახელმწიფოში.

თითქმის მთელს საქართველოში სულ პატარა წარმოების პატრონიც კი ერთ და იმავე დროს სამრეწველო და სავაჭრო წარმოების პატრონიც არის, ე. ი. სახელმწიფოს საწარმოო და აღებ-მიცემობის ფაქტორს წარმოადგენს. ასეთები არიან მაგ. მრავალ-რიცხოვანი წვრილი და საშუალო ხელოსნები, რომლებიც სულ არ ხმარობენ ან ნაკლებად ხმარობენ მანქანებს თავის წარმოებაში და რომლებიც მუდმივ საშუაოს აძლევენ სხვა და სხვა კატეგორიის მუშებს. ამ კატეგორიას ეკუთვნის ხარაზები, რომლებიც საკუთარ წარმოების პროდუქტებს თავისავე მაღაზიებში ყიდიან; აგრეთვე მეთუნეები, პურის-მცხობელნი და სხ., რომლებიც მუდმივად თავის სახელოსნოებში არიან. ყველა ამ წვრილ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს ყოველთვის ესაჭიროებათ სატრიალებელი კაპიტალი, რომელსაც ეზო ისინი მიიღებენ სესხად სახალხო ბანკიდან. ცხადია, რომ მსხვილი ვაჭრობა და მრეწველობაც მიიღებს ყოველმხრივ დახმარებას სახალხო ბანკისაგან.

სახალხო ბანკი სესხს გასცემს მხოლოდ საქონლის გირაონობის ქვეშ, რომლის სიას ამტკიცებს ბანკის საბჭო; სესხის რაოდენობა დაგირავებული საქონლის რაოდენობით განისაზღვრება.

სესხის რაოდენობა, როგორც ეს ხდება ყველა ბანკებში, დაგირავებულ საქონლის ანუ დოკუმენტის მთელი ღირებულების  $\frac{2}{3}$ -ით განისაზღვრება; ამ სესხის რაოდენობას საქონლის თვისების მიხედვით აწესებს გამანაღდებელ-გამსესხებელი კომიტეტი.

ვალის გადახდის ვადა განისაზღვრება დაგირავებულ საქონლის ღირებულებისა და მისი შენახვის თავისებურების მიხედვით. ეს ვადა შეიძლება იყოს 3—9 თვემდე.

საქონლის დაგირავების დროს საქონლის პატრონი შეიძლება საქონელი არ წაერთვას და არ იქმნას გადატანილი ბანკის საწყობში.

სახალხო ბანკს უფლება აქვს დაუტოვოს გამსესხებელსავე შესანახად ან სარგებლობისათვის მისგან ვალდებულებების უზრუნველსაყოფად მიღებული მოძრავი ქონება—იმ პირობის დაცვით, რომ მთელი დაგირავებული ქონება სათანადო აღწერილი იქნება და მასზე დასმულ იქნება თვალსაჩინო ნიშანი გირაოდ შეიღების მაჩვენებელი მაგ. ბეჭედი,

პლომბი, დალი და სხ.) თუ ეს შესაძლოა იქნება ქონების თვისების მიხედვით.

რასაკვირველია, ეს გირაო, მსესხებლისავე განკარგულებაში რჩება სარგებლობისათვის და არ შეიძლება გაიყიდოს ან განსხვავებულ იქმნას. ის მსესხებელი, რომელიც შენიშნული იქნება ასეთ დანაშაულში, პასუხის გებაში იქნება მიცემული, როგორც შესაძლებელია მძარცვული ქონების გამფლანგავი.

ბანკის წესდება ითვალისწინებს დაგირავებულ საქონელში სესხის გაცემის მთელ რიგ დეტალებს, ასე მაგ. თუ საქონელი, თვისი თვისების მიხედვით შეიძლება დაზიანდეს ცეცხლისგან, უნდა აუცილებლად დაზღვეულ იქმნას; ამასთანავე დაზღვევის ჯამი ათის პროცენტით მაინც უნდა აღემატებოდეს სესხის რაოდენობას და დაზღვევის ვალაც ყოველ შემთხვევაში ერთი თვით მეტი უნდა იყოს სესხის ვალზე; გარდა ამისა, პოლისი ბანკს უნდა ჩაბარდეს შესაძლებლად.

ის მსესხებლები, რომლებმაც დაგირავებული საქონელი მიიღეს შესაძლებლად, პასუხს აგებენ იმ შემთხვევაში, უკეთეს საქონელი გაფუჭდება. ცხადია, რომ თვით მსესხებელმა თვითონ უნდა იზრუნოს და მიიღოს შესაფერი ზომები იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ასეთი შემთხვევა. აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის პირობების შეცვლის გამო დაგირავებული საქონლის ფასი დაიწვეს  $10\%$ -ით, ვიდრე შეფასებული იყო გირაოდ მიღების დროს, ან თუ საქონელი მთლად ან ნაწილობრივ დაიკარგება, მსესხებელი, ბანკის მოთხოვნისამებრ, ვალდებული არის გადაიხადოს სესხის შესაბამისი ნაწილი ან დამატებითი გირაო წარადგინოს.

დაგირავებული საქონელი სრულიადაც არ იქცევა მკვდარ კაპიტალად; მისი სარგებლობით შეიძლება მიღებულ იქმნას განსაზღვრული შემოსავალი, თუ, რასაკვირველია ეს არ გამოიწვევს მის გაფუჭებას და შემცირებას; დაგირავებული საქონელი შეიძლება გაყიდულ იქმნას, მხოლოდ ამისთვის საჭიროა ბანკის თანხმობა და ვალის გადახდა.

ბანკი, აძლევს რა მსესხებელს მთელ რიგ შეღავათებს, იგი იმავე დროს სარგებლობს განსაკუთრებულის უფლებით და უპირატესობით იმ შემთხვევაში, თუ ვისმესგან წარმოდგენილი იქნება სამოქალაქო პრეტენზიები მსესხებლის ქონების მიმართ.

წესების თანახმად, (28 მუხლი) ბანკის მიერ გირაოდ მიღებული საქონელი, საქონლის საბუთები და სხვა უზრუნველყოფი რამ, არ შეიძლება შეიკრას ან სექვისტრი დაედვას—არც კერძო და არც ხაზინის ვალისათვის, ვიდრე ბანკისაგან მიღებული სესხი გადახდილ არ იქნება. აგრეთვე, შეუძლებელია მათი გადარიცხვა მსესხებლის საკონკურსო მასალად, ვიდრე იგი სრულიად არ გაუსწორებს ბანკს ანგარიშს—მიღებული სესხისა, პროცენტებისა, საურავისა და სხვა ხარჯების გადახდით.

მეორე მხრივ, სასამართლოს არავითარ დადგენილებას არ შეუძლიან შეაჩეროს ბანკის მიერ იმ გირაოთა გაყიდვა, რომლის უზრუნველყოფითაც გაღებული იყო სესხი.

ამგვარად, ბანკის ინტერესები უზრუნველყოფილია ყოველგვარ შემთხვევათაგან.

ბანკს შეუძლიან გაუხსნას აგრეთვე კრედიტი მიმდინარე ანგარიშით იმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ სესხს; მაგრამ სესხის გადახდა საკმაოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმ ვადის განმავლობაში, რომელიც წესდებით არის განსაზღვრული. ასეთ უზრუნველყოფად შეიძლება ჩაითვალოს ის თამასუქები, რომლებიც აკმაყოფილებენ მისი განადგურებისათვის საჭირო მოთხოვნილებას.

ასეთ კრედიტებს ბანკი გასცემს მხოლოდ იმ პირობით, თუ აღებული სესხი ბანკის პირველ მოთხოვნილებისამებრ, დაუყოვნებლივ იქნება გადახდილი და ან რამოდენიმე ხნის შემდეგ, იმ ვალზე რომელიც წინააღმდეგ იქნება დანიშნული.

ამგვარად, ბანკი ხსნის რა ასეთ კრედიტს მიმდინარე ანგარიშის საფუძველზე, საშუალებას აძლევს დამგირავებელს, რომ თვის განკარგულებაში იქონიოს ამა თუ იმ საფაქრო ოპერაციებისათვის საჭირო განსაზღვრული თანხა.

ფულად ანაბარის მიღება რამდენიმე ანგარიშით, ვადით ან უვადოთ, ანაბარის მიღება შესაძლებელია, ფასეულობათა ყიდვა-გაყიდვა, ფულის გადაზიდვა, საინკასო და სხვა საკომისიო ოპერაციები თვისი ხასიათის მიხედვით არაფრით არ განსხვავდება სხვა ბანკების ანალოგიურ ოპერაციებისაგან.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს გაიხსნას ბანკში მიმდინარე ანგარიში განსაზღვრული თანხის შეტანით. როგორც ვიცით, მიმდინარე ანგარიშის ბანკში ან მის რომელიმე განყოფილებაში შეტანას ის უპირატესობა აქვს ფულის სახლში შენახვასთან, რომ ფულის შემნახველი პირველ შემთხვევაში უზრუნველყოფილი არის ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევათაგან.

ანაბარის პატრონი, რომელსაც მიმდინარე ანგარიში აქვს ბანკში, თავისუფლად სარგებლობს ამ ანგარიშში ჩარიცხულ ფულით განსაკუთრებულის განკარგულებისა ან ჩეკის საშუალებით. ყოველ პირს, რომელიც განსაზღვრულ თანხას შეიტანს ბანკში მიმდინარე ანგარიშით, ეძლევა განსაკუთრებული ჩეკების წიგნაკი. საკმარისია წიგნაკის მოხეულ ფურცელზე აღნიშნა საჭირო თანხისა და წარდგენა ბანკში, რომ ბანკმა მისცეს აღნიშნული თანხა ჩეკის წარმდგენელს.

ანაბარად მიღების ოპერაციებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი სპობს ყველა იმ უხერხულობას, რომელიც ფულის სახლში შენახვასთან არის დაკავშირებული და იძლევა განსაზღვრულ შემოსავალს პროცენტების სახით. სახელმწიფოსათვის ამას ფრთხილ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი სახალხო ბანკის ოპერაციების გაფართოების საშუალებას იძლევა, რასაც უშუალო კავშირი აქვს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

ის დოკუმენტები, რომლებსაც ბანკი აძლევს როგორც ვადიან, ისე უვადო ანაბარის მიღებისათვის, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოთი და შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, მხოლოდ ეს გადაცემა

უნდა აღინიშნოს ბანკის დავითრებში. უფადო და ვალიან ანგარიშების საბუთები შესაძლოა მიღებულ იქნას გირაოდ საბჭოთა დაწესებულებასთან ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად სრულ იმ ფასად, რაც შიგ არის აღნიშნული. თუ ანაბარის საბუთი დაიკარგა, წესდების ძალით დამკარგველი ისე უნდა მოიქცეს როგორც საქირთა ყოველი ოფიციალური დოკუმენტის დაკარგვის დროს, ე. ი ამის შესახებ სამჯერ უნდა გამოცხადდეს სათანადო ორგანოში. ამავე დროს ბანკი თავის მხრივაც აცხადებს დაკარგულ საბუთის გაუქმებულად. ამის შემდეგ ანაბარის პატრონს შეუძლიან მიიღოს დუბლიკატი დაკარგულ საბუთის ნაცვლად.

ჩვეულებრივ ანაბარების გარდა სახალხო ბანკი როგორც ყოველი ბანკი საზოგადოდ მიიღებს აგრეთვე ანაბარებს შესანახად. ანაბარები შეიძლება სხვა და სხვა გვარი ფასეულობებისა იყოს ასე მაგ. ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები, ოქრო ვერცხლი და ყოველგვარი ძვირფასი ნივთები და სხვა და სხვა გვარი საბუთები. ახალი ფინანსიურ-ეკონომიური კურსის შემოღებით სახელმწიფო არამც თუ არ ართმევს შოქალაქებს მათ ოქროს და ვერცხლს, არამედ ზრუნავს იმისათვის, როგორც ყოველი ბანკი, სახალხო ბანკიც აწარმოებს ყოველგვარ საკომისიო ოპერაციებს მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა დავალებით ასე მაგ, ანგარიშების გასწორება საბჭოთა დაწესებულებათა, კერძო პირთა და წარმოებათა შორის. ბანკი აწარმოებს აგრეთვე საქონლის და სხვა ღირებულებათა ყიდვა-გაყიდვას რწმუნებულთა ხარჯით და ამით უადვილებს მათ საშინაო და საზღვარ-გარეთის ბაზართან დამოკიდებულების დაქვერას. რწმუნებულმა იქნება იგი დაწესებულება თუ კერძო პირი, შეიძლება ყოველთვის არ იცოდეს ბაზრის პირობები, განსაკუთრებით საგარეო ბაზრის პირობები. ბანკს კი, თავის განყოფილებების და აგენტების საშუალებით, ყოველთვის შეუძლიან ბაზრის პირობების გაგება: სად რომელი საქონელი და რამდენი რაოდენობისა არის, სად და როდისაა ბაზრის საუკეთესო პირობები და სად უფრო შეიძლება საქონლის იაფად შეძენა. ბანკი ასრულებს წმინდა სავაჭრო დავალებებს თავისი რწმუნებულებისა და არის შეუამავალი ბანკსა და მათ შორის: ამასთან ვე მას შეუძლიან სხვა დავალებათა შესრულება: მაგ. ბანკს შეუძლიან მათ ხარჯზე გასცეს თანხა: მხოლოდ ეს თანხა არ უნდა აღემატებოდეს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც ბანკის დავალებათა აღსრულების დროს არის, მათ განკარგულებაში.

ბანკის გამგეობის ერთხმითი დადგენილებით და ისიც მხოლოდ საბჭოთა დაწესებულებათათვის ბანკის წესდება უშვებს გამოჩენისებს, რომ ამ დაწესებულებებმა გამოიტანონ იმ რაოდენობაზე მეტი თანხა, რამდენიც მათ აქვთ ბანკში. ამ შემთხვევაში მათი საბიუჯეტო კრედიტის ფარგლებში მათ ეხსენებათ, ეგრედ-წოდებული საბანკო კრედიტი ბანკის გამგეობის მიერ დაწესებული თანხით და ვადით. ცხადია, რომ ასეთი შეღავათი დაუშ-

ვებელია კერძო პირთა და კერძო დაწესებულებათათვის.

ამ აღნიშნულ ფუნქციათა გარდა, ბანკი აწარმოებს რა სახელმწიფოს საფინანსო ოპერაციებს, თვით სახელმწიფოს ორგანოც არის. რადგან სახელმწიფოს ყოველი ნაღდი ფული ჩარიცხული არის სახალხო ბანკის უბროცენტო მიმდინარე ანგარიშზე. ყველა საბჭოთა დაწესებულებანი მოვალენი არიან თავისი ნაღდი ფული შეიტანონ სახალხო ბანკში; მათ უნდა დაიტოვონ ისეთი თანხა, რომელიც საქირთა უახლოეს და გადაუდებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ამას გარდა სახელმწიფო სახალხო ბანკს აკისრებს მთელ რიგ შრავალგვარ ოპერაციებისა: მიღებას დამზადებელ ექსპედიციისაგან სახელმწიფო ნიშნებისა და შენახვას ლითონის ფულის ნიშნებისა, აგრეთვე იმ ქაღალდის ფულებისა და საანგარიშო ნიშნებისა, რომელიც დასახურდავებელ ფონდს შეადგენს. მას ეკისრება აგრეთვე სხვა სახელმწიფო საფასურის ნივთების შენახვა: ძვირფასი ლითონისა, უცხო-ფერადის ქვებისა, მათგან ნაკეთობისა და სხ. ერთი უმთავრესი მიზანთაგანი ბანკისა არის სახელმწიფო მრეწველობის ფინანსებით უზრუნველყოფა, ე. ი. ისეთ სამრეწველო დაწესებულებათა, რომლის პატრონი, თვისი ორგანოების საშუალებით, თვითონ სახელმწიფოთა და აგრეთვე სასურსათო, მიწადმოქმედების და საგარეო ვაჭრობის კომისარიატები. ამასთან ერთად აგრეთვე მნიშვნელოვანია კოოპერატიულ ორგანიზაციათა ფინანსიური უზრუნველყოფა, რაიც ზღვს შეუწყობს სამრეწველო საქმიანობას, პირველ მოთხოვნილებათა საგნების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, მანქანების და იარაღების შესყიდვა-გასაღებას.

ამგვარად, საქართველოს სახალხო ბანკი, თავისი საქმიანობით ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრების სხვა და სხვა გვარ სფეროებში, გახდება მძლავრ ფაქტორად იმ სამეურნეო დოვლათის შექმნისა და დაგროვებისა, რომელიც ომის და რევოლუციის განმავლობაში ასე გაიფლანგა და განადგურდა და რომლის აღორძინება ასე საქირთა ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკისათვის.

ლ. სარაჯიშვილი.



# შინაგან

## გვ. XVIII-ე №-ში მოთავსებულ განკარგულებისა:

- 1) დეკრეტი № 75 საქ. რევ. კომიტეტის საჭიროებად გადასახდის შესახებ. გვ. 1—5.
- 2) დადგენილება № 68 საქ. რევ. კომიტეტის სასჯელმწიფო უნივერსიტეტის შრომისმომწოდებელთა, ორდინატორებისა და ასისტენტების მომადიანებისაგან განთავისუფლების შესახებ.
- 3) დადგენილება № 69 საქ. რევ. კომიტეტის ვაჟი-გვარსი სატყეო-ეკონომიკური და მასალის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების შესახებ.
- 4) დადგენილება № 70 საქ. რევ. კომიტეტის განათავსების შესახებ მუშაობის წარმომადგენლის შრომის პერიოდის შემოღების შესახებ.
- 5) დადგენილება № 71 საქ. რევ. კომიტეტის იმ საწარმოო დაწესებულების მუშათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელი დაწესებულებაც ისუტება ან ამცირებს თავის წარმოებას.
- 6) დადგენილება № 72 საქ. რევ. კომიტეტის მცხოვრებთათვის სამკურნალო წამლების უფასოდ მიღების თაობაზე საქ. რევკომის მიერ 1921 წ. მაისის 15-ის თარიღითა და 18 №-ით გამოცემული დადგენილების განმარტების შესახებ.
- 7) დადგენილება № 73 საქ. რევ. კომიტეტის საქ. რევკომის დეკრეტის № 41 მუხლი 24-ის შეცვლის შესახებ.
- 8) დადგენილება № 74 საქ. რევ. კომიტეტის მუშა-მოსამსახურეთა ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლისა და სამსახურის დატოვების შესახებ.
- 9) დადგენილება № 75 საქ. რევ. კომიტეტის დამ-სჯელი კასის მონაწილეთათვის დახმარების ნორმის გადგენის შესახებ.
- 10) დადგენილება № 76 საქ. რევ. კომიტეტის "ბავ-შვის კვირის" მოწყობის შესახებ.
- 11) დადგენილება № 77 საქ. რევ. კომიტეტის თავ-თავიანი მუშაობის ჩატარების გადასახდის ჩა-ბარების უკანასკნელი ვადის შეცვლის შესახებ.
- 12) დადგენილება № 78 საქ. რევ. კომიტეტის მეტა-ლისების მომადიანების შესახებ.
- 13) დადგენილება № 79 საქ. რევ. კომიტეტის ბანდი-ტისების მოსამზადებელ სთანადო დონისძიებათა შეღების შესახებ.
- 14) დადგენილება № 80 საქ. რევ. კომიტეტის და-წესებულებათა, წარმოებათა და ქარხნების მიერ მუშა-მოსამსახურეთა სიების სავადგებულო შემო-ღების შესახებ.
- 15) დადგენილება № 81 საქ. რევ. კომიტეტის თქ-ტომბრის რეგულირების თხი წლის თავის დღესასწაულის მოწყობის შესახებ. გვ. 5—12.
- 16) დადგენილება № 82 რევ. კომიტეტის დაწესებუ-ლებათა და წარმოებათა შტატების შემადგენელ კომისიების დებულების შესახებ. გვ. 5—12.
- 17) ბრძანება № 82 საქ. რევ. კომიტეტის ავტომა-ბილების მოძრაობის შესახებ.
- 18) ბრძანება № 83 საქ. რევ. კომიტეტის აშს. კვან-ტაიანის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.
- 19) ბრძანება № 84 საქ. რევ. კომიტეტის აშს. კუ-ნეცოვის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარის მეორე მოადგილედ დანიშნის შესახებ.
- 20) ბრძანება № 85 საქ. რევ. კომიტეტის აშს. ფრან-კულიანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრად დანიშნის შესახებ.
- 21) ბრძანება № 86 საქ. რევ. კომიტეტის აშს. ან-დრონიკაშვილის საქართველოს წითელი დაშქრის უფროსად დანიშნის შესახებ. გვ. 12—13.
- 22) დებულება საქ. რევ. კომიტეტის ტექნიკისაგან დაცვის განყოფილების შესახებ. გვ. 13—15.
- 23) დადგენილება შინაგან საქმეთა კომისარიატისა.
- 24) დადგენილება შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა. გვ. 15—16.
- 25) დირექტორი № 5 მიწადმოქმედების სახ. კომი-სარიატის მიწის დაღის ანუ იჯარის შესახებ. გვ. 16—17.
- 26) წარმოების ასადგენებზედად სახ. კომისარიატის სა-ბჭოს დადგენილება მუშების და მოსამსახურეთა შრომის ფასის მიცემის ახალი წესის შესახებ. გვ. 17—19.

### არაოფიციალური განყოფილება.

- 27) დიდი გაგვეთილი. გვ. 20—21.
- 28) საქართველოს სახალხო ბანკის დახსენების გამო. გვ. 21—23.
- 29) ქუთაისის გუბერნიის შედითხების საკითხი. გვ. 23—25.
- 30) მიწად-მოქმედების ახალი კრ. გვ. 25—29.
- 31) კითხვა-პასუხი. გვ. 30—31.